# საერთო გაზეთი

№7 (555) • 4 მარტი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ვინ ეტყვის ამათ, „არჩევნები კი არა, იდიტე ვი ნა ხ..., მერზავცი“




სადაც სამართალია, მაგათთვის ცოტა უფრო ადრე უნდა ეთქვათ: იდიტე ვი ნა ხ..ი, მერზავცი, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.რუსულად იმიტომ, რომ მაგათ რუსული უფრო კარგად ესმით, ვიდრე ქართული და ინგლისური.

## სოსო ცინცაძე:



ოპოზიციას დაავიწყდა, რომ არჩევნებს იგებს არა საარჩევნო სისტემა, არამედ ხალხის მხარდაჭერა

## „ნაცმოძრაობის“ ბანდის წევრებს უკრაინაში ისევ ასაქმებენ

## ვინ შეაჩერებს ბანდას, რომლის ყაჩაღური მოქმედებები შეიძლება მეგრელების და სვანების დაპირისპირების მიზეზი გახდეს





## სოსო მანჯავიძე



უარყოფით ინფორმაციულ ნარკოტიკზე დამოკიდებული მოსახლეობის ნაწილი შიზოფრენიის ზღვარზეა

## ურჯულოების ავანტიურა ქართველი ხალხის სახელით



## ლენინიდან სააკაშვილამდე ბოკერიას გავლით





# ვინ ეტყვის ამათ, „არჩევნები კი არა, იდიტე ვი ნა ხ.., მერზავცი“

**ვახტანგ ხარჩილავა:**

დიდი ვნებათაღელვის, დიდი დებატების, დიდი გაწევ-გამოწევის, დიდი ლანძღვა-გინების, საერთაშორისო ინსტიტუციების, აშშ-ს კონგრესის, ევროკავშირის, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების დიდი ძალისხმევის შემდეგ შეიძლება პოზიცია და ოპოზიცია შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

სასიხარულო ამბავია, არა?

რა თქმა უნდა, სასიხარულო ამბავია, ამდენი გაწამაწიისა და დავიდარაბის მერე რაღაც კონსენსუსს თუ მივაღწევთ, რაც, სხვებთან ერთად, წესით და რიგით, მეც უნდა მიხაროდეს.

კი, ბატონო, მეც მიხარია, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ჯერჯერობით, ვერა და ვერ მივხვდი, რა უნდა მიხაროდეს და რატომ უნდა მიხაროდეს?!

იქნებ ის უნდა მიხაროდეს, რომ, შეიძლება, მომავალ პარლამენტში კვლავ ვიხილო ქართული ფაშიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ბოკერია, სვანთმმუსვრელი ბარამიძე, ქართველთათვის მამის სახელის და ეროვნების წამრთმევი ბურჯანაძე, ქართული პოლიტიკის ოსტაპ ბენდერი ნათელაშვილი, კგბ-ს ძუძუთი გაზრდილი გრ. ვაშაძე, „ტრუპების“ შემგროვებელი მერაბიშვილი, სადისტი და მანიაკი ადეიშვილი, ავანტურისტი ოქრუაშვილი, ბიუჯეტის ქურდი უგულავა, „ნევრასტენიჩკა“ ბოკუჩავა, „ძველი ბიჭი“ ხოშტარია, „დები“ ბერძენიშვილები, თინიკოს მარადიული ცოლი უსუფაშვილი, გაბოზებული გუბაზი, ალ კუპონედ წოდებული გოცირიძე და სხვა მრავალნი, ერთმანეთზე უარესნი და ერთმანეთზე უფრო თახსირნი.

ესენი, ეს ქვეყნის დამაქცევარი მედროვეები და ფარისევლები, კიდევ ერთხელ რომ შებრძანდნენ პარლამენტში, ამისთვის გაისარჯნენ ფრიად პატივცემული ელჩები, კონგრესმენები, ევროპარლამენტის დეპუტატები, ევროკავშირის ელჩი და ეს უნდა გვიხაროდეს?

სანახევროდ მოშორებული ჭირი ხელახლა უნდათ შეგვყარონ და ამის გამო ბედნიერები და გახარებულები უნდა ვიყოთ?

ოპოზიცია ისეთი ბარიერის შემოღებას მოითხოვს, სადაც ერთი პარტია დამოუკიდებლად, მთავრობის დაკომპლექტებას რომ ვერ შესძლებს და საშველად და სამეგობროდ ისევ ნაცებს და ევრონაცებს უნდა მიადგეს, რომ როგორმე კოალიციური მთავრობა ერთად შეაკოწიწონ.

კოალიციური მთავრობა ვისთან ერთად?

კოალიციური მთავრობა ისევ იმათთან ერთად, ვინც საქართველოს თითქმის 30 წელიწადია აუპატიურებს, აქედან ცხრა წელი ინდივიდუალურ რეჟიმში, დანარჩენი წლები „გრუპაში“.

— მარტო საარჩევნო სისტემის ცვლილებას არ დავჯერდებით... პოლიტპატიმრები გამოუშვას „ქართულმა ოცნებამ“ და გარანტიები მოგვცეს, რომ პოლიტიკური ლიდერების წინაალმდეგ აღძრული საქმეები შეწყდებაო — დიდ გულზე არიან მადაზე მოსული „ოპოზიციონერები“, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტის ვირთხა უგულავა თურმე პოლიტპატიმრის სტატუსით უნდა გამოუშვან ციხიდან და ასევე არანაკლებ დიდი ვირთხა ოქრუაშვილიც ზედ უნდა მიაყოლონ, ისიც პოლიტპატიმრის „ჩინით“.

— არ გვყავს ჩვენ პოლიტპატიმრებიო — „დააპაშოლა“ თალაკვაძემ ოპოზიცია და სწორადაც მოიქცა.

სადაც სამართალია, მაგათთავის ცოტა უფრო ადრე ეთქვათ: იდიტე ვი ნა ხ..ი ფაკულტეტი, მერზავცი, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.



რუსულად იმიტომ, რომ მაგათ რუსული უფრო კარგად ესმით, ვიდრე ქართული და ინგლისური.

ამ ულტიმატუმის ქვეტექსტში კიდევ უფრო თავხედური მოთხოვნა დევს, ვიდრე ეს პოლიტპატიმრის სტატუსით დამნაშავეთა გათავისუფლებაა, კერძოდ, ამ მოთხოვნის მიხედვით ყველა, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, თუ პოლიტიკურად აქტიურობს, ხელშეუხებელი ხდება.

რა დიდებული რამ ყოფილა თურმე ეს პოლიტიკა — მიიტაცებ მილიონებს, ვინც არ მოგეწონება, ციხეში ჩააგდებ, დახვრეტ, აწამებ, ქონებას წაართმევ, ცხოვრებას დაუნგრევ, ჩარეცხავ, გააუბედურებ, მერე გახვალ მიტინგზე, იბღავლებ, იყვირებ, ყოველ წინადადებაში სიტყვა დემოკრატიას ჩააფენ, პოლიტიკოსად მოინათლები და ყველაფერი ხახვივით შეგრჩება.

თუ მაინც აგიშარდებიან და ჩადენილი ცოდვებისთვის ციხეში ჩასმას დაგიპირებენ, ევროპარლამენტში იჩივლებ, აშშ-ში გაიქცევი და კონგრესში იჩივლებ, ფრიდომ ჰაუსთან და ჰუმან რაით ვოტჩისთან ჩამოყრი ცრემლებს, აქეთ „საია“ და კაპიტანი გიგაური გამოგესარჩლება, იქით ნიკუტა გვარამია და ინგა გრიგოლია გადაგეფარება — არიქა, პოლიტიკოს კაცს (ქალს) იჭერენ თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო და ყველამ ერთად დავიცვათ და ყველამ ერთად ვუშველოთო.

პოლიტიკა კი არა, დამნაშავეთა „ბომბაუბეჟიშეა“, სადაც კანონი და სამართალი ვერ აღწევს.

ეს ავაზაკები, ეს კრიმინალები ხშირად იმეორებენ ხოლმე — ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიო, ჩვენი მეგობრები დემოკრატიული სამყაროდანო...

არ მახსოვს, ამ „პარტნიორებიდან“ და „მეგობრებიდან“ ვინმეს თავი შეურაცხყოფილად ეგრძნოს და ეთქვას: ვინ არის თქვენი პარტნიორი და თქვენი მეგობარი, „ტამბოვსკი ვოლკ ვაშ დრუგო“.

არა, არავის არ უთქვამს მსგავსი რამ, მიუხედავად იმისა, რომ ზედმიწევნით ზუსტად, დოკუმენტურად დადასტურებულად იციან, რა დანაშაულები აქვთ ჩადენილი ამ ვიგინდარებს.

აქვე ერთ ფრაგმენტს გთავაზობთ ზაზა შათირიშვილის ინტერვიუდან, რომელიც გაზეთ „სხვა დროს“ ფურცლებზე დაიბეჭდა:

„დასავლეთში ლიბერალიზმისთვის საკმაოდ მძიმე რამ მოხდა — 2016 წლიდან წამოვიდა ახალი ტრენდი, რაც გამოიხატა იმით, რომ აშშ-ში, ბრიტანეთში, ანუ, იქ, სადაც ლიბერალური ტრენდი იშვა და დაიბადა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ლიბერალური პარტიების სრული ფიასკო მოხდა და კონსერვატიულმა ტრადიციულმა ძალებმა სამაგალითოდ გაიმარჯვეს. დიახ, არ მომერიდება იმის თქმა, რომ ქრისტიანულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ამის მაჩვენებელია დონალდ ტრამპი და მისი, აბსოლუტურად ცალსახა და მკაფიო მესიჯები. ასევე, ბორის ჯონსონის 25 დეკემბრის სიტყვა, სადაც მან პირდაპირ თქვა: ჩვენ დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართო. აშშ-ს პრეზიდენტის ცალსახა პოლიტიკა გვაფიქრებინებს, რომ ლიბერალური პარადიგმის დასასრული ახლოვდება.ე.ი. კომუნიზმისა და ნაციზმის დასასრულის შემდეგ მთავრდება მოდერნის მესამე — ლიბერალური პარადიგმა“.

თუ აშშ-ში და ინგლისში ლიბერალური პარადიგმის დასასრული დადგა, ჩვენთან, საქართველოში, რა ხდება ისეთი, რომ ლიბერალური ქოლერისაგან ვერა და ვერ გავთავისუფლდით?

ამერიკელები და ინგლისელები დევნილი ქრისტიანების გვერდით დგანან, ქართველთა ერთი ნაწილი კი იმ ძალების გვერდით დგას, რომლებიც საქართველოში საქართველოს დევნიან.

ორი უდიდესი სახელმწიფოს თავკაცები, ტრამპი და ჯონსონი, თავიანთი პოზიციით უნდათ მათ ეს თუ არ უნდათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების მხარეზე დგანან, ჩვენ კი სააკაშვილის და ბოკერიას, ანუ ქლინტონის, მაკ კეინის და ბაიდენის გვერდით ვდგავართ და 2020 წლის არჩევნებში საკუთარი თავის დამარცხებისთვის ვაპირებთ უკომპრომისო ბრძოლას?

საქართველომ ჯერჯერობით ვერ ისარგებლა უნიკალური ისტორიული შანსით და თავისი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ ვერ გამოიყენა ის ფაქტი, რომ ორი უდიდესი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებები იმ გზას დაადგა, რომელიც დასაბამიდან დღემდე ქართული სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედი იყო.

ამერიკელი ზვიად გამსახურდიას, დონალდ ტრამპის და ბრიტანელი „ქართველის“ ჯონსონის იდეებმა საქართველოში ვერ ჩამოაღწია, სამაგიეროდ, ნეოლიბერალები კიდევ უფრო აფართოებენ სამოქმედო არეალს საქართველოში და ხელისუფლების დამხობით და რევოლუციით იმუქრებიან.

ქმარი რომ ცოლს დაემუქროს, ციხეში ამოაყოფინებენ თავს, ესენი მთელ ქვეყანას ემუქრებიან და ვითომც არაფერი.

ხან სააკაშვილი გვიპირებს დამხობას, ხან — ვაშაძე, ხან — ჯანგირაშვილი, ხან — გვარამია, ხან — მერაბიშვილი. კანონი კი დუმს.



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ოპოზიციას დაავიწყდა, რომ არჩევნებს იგებს არა საარჩევნო სისტემა, არამედ ხალხის მხარდაჭერა

## ზვიად გამსახურდიამ საბჭოთა კავშირს მოუგო არჩევნები, რადგან საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა ჰქონდა



*გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:*

**— ბატონო სოსო, რუსეთმა თურქეთზე საჰაერო იერიში მიიტანა. როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?**

— დიდი ომი არც რუსეთს აწყობს, არც თურქეთს და რაც მთავარია, არც თურქეთის სტრატეგიულ მოკავშირეს — ნატოს. ამიტომ, მასშტაბური ომი არ იქნება. ერთი-ერთზე — დახმარების გარეშე თურქეთი რუსეთს ვერ გაუმკლავდება. დღევანდელ სიტუაციაში თურქეთს ნატოსა და აშშ-ს მხრიდან, შეიძლება, მხოლოდ, მორალური დახმარების იმედი ჰქონდეს. პატარა შეტაკებები, მსხვერპლი, რა თქმა უნდა, იქნება. დღეს, მთავარია, ერდოღანმა როგორმე სახე შეინარჩუნოს. იგი, ახლა, ისეთ მდგომარეობაში არ არის, რომ თავის ხალხთან თავი მოვალედ



არ იგრძნოს და რუსეთის ქმედება გადაყლაპოს. თურქეთის მხრიდან სათანადო პასუხები იქნება, მაგრამ ფართომასშტაბიანი დიდი ომი, გამორიცხულია. ელემენტარულად, თურქეთის გამო რუსეთს ბირთვულ ომს არც ნატო გამოუცხადებს და არც აშშ. თურქეთი არაბირთვული სახელმწიფოა, მაგრამ თუ მისი მოკავშირე ნატო ან მხოლოდ ამერიკა ომში ჩაება, რასაკვირველია, აქ, ბირთვული იარაღის გამოყენების დიდი ალბათობა დადგება. ეს არავის აწყობს. ამიტომ, ერდოღანს მოუწევს ფართომასშტაბიანი ომის გარეშე დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება საქართველო, დღეს ყველაზე დიდი საფრთხე კორონა ვირუსია. ამაზე დიდი საფრთხე ჩვენს ქვეყანას არც გარედან ელის და არც შიგნიდან.

**— გაირკვა, რომ ლავროვი ევროსაბჭოს ფორმატში საქართველოში აღარ ჩამოვა. ოპოზიციას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა?**

— მათი ქმედებები, უკვე, არასერიოზულია. არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ვითარების გამწვავება აწყობთ, უპასუხისმგებლონი არიან. ერთი ამბავი იყო ატეხილი ლავროვს არ შემოვუშვებთო. რა იყო ამ ალიაქოთის მიზეზი? — მათ სურდათ, ხელისუფლება, რთულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა თ. მართლაც რომ გადაწყვეტილიყო ამ ღონისძიების თბილისში ჩატარება და ლავროვი ჩამოსულიყო, ოფიციალურ თბილისს, უარის თქმა გაუჭირდებოდა. თუმცა, აქვე, უნდა აღინიშნოს: სპეციალისტების თქმით, თავად კანონი „ოკუპაციის შესახებ" განსაკუთრებულ შემთხვევაში ასეთ ვიზიტებს უშვებს. მადლობა ღმერთს ყველაფერი დამთავრდა. დღეს კორონა ვირუსთან დაკავშირებით მთელს ევროპაში ისეთი ამბავია ატეხილი, რომ ჯერ კიდევ არავინ იცის ეს სამიტი გაიმართება თუ არა. ხომ ხედავთ, ევროკავშირი დისტანციურ კონფერენციებზე გადავიდა და შეკრებები გააუქმა. ამიტომ, შეიძლება ეს სამიტიც ასე გაიმართოს. დღეს, ყველაფერი იცვლება. კორონა ვირუსის საფრთხემ უკვე დაამჩნია თავისი კვალი მსოფლიოს მთელ რიგ სახელმწიფოთა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას.

**— ბატონო სოსო, მოდით, ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზეც ვისაუბროთ. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების რაუნდები გრძელდება. რა შედეგს ელით?**

— ერთი რამ არის: რატომღაც მგონია, რომ შეთანხმება შედგება. ევროკავშირიდან, ევროპელი ელჩების მხრიდან ზეწოლა ვისზე უფრო მოქმედებს — ხელისუფლებაზე თუ ოპოზიციაზე? — რასაკვირველია, ხელისუფლებაზე, ხომ. იმიტომ, რომ ხელისუფლებას მეტი პასუხისმგებლობა აქვს და მეტი მოეთხოვება. ამიტომ, მჯერა, რომ ხელისუფლება კომპრომისზე წავა. მაგრამ ოპოზიციას ისე არ უნდა დაემართოს: მადა ჭამაში მოდისო და 10-ჯერ მეტი მოითხოვოს. ოპოზიციას ერთი რამის ეშინია: ვთქვათ, ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და მათ არჩევნები მაინც წააგეს. მაშინ მმართველი პარტია იტყვის: ყველაფერი დავუთმეთ, საარჩევნო კანონი არაფერ შუაშია, თავად არაფრის მაქნისები არიანო. გაერთიანებულ ოპოზიციაში განხეთქილება, უკვე, იგრძნობა. გუშინ თაკო ჩარკვიანს ვუსმენდი და განხეთქილების ბზარი შევნიშნე. კი, იგი ამბობდა ერთნი ვართო, მაგრამ ჩვენთან, როცა ყველაფერი პიროვნულ ფაქტორზე გადადის, შეთანხმება უკვე ძნელია. როგორც ჩანს, იქ, პიროვნული შეუთავსებლობებიც არის. ეს შეთანხმება გულწრფელად უნდა დათო უსუფაშვილს და ყველაზე მეტად იგი იღწვის, რაც გარედან ჩანს. ჩვენ საქმის კურსში არ ვართ, რასაც ტელევიზიით დავინახავთ, იმის მიხედვით შეგვიძლია ანალიზის გაკეთება. მაგრამ ერთი რამ როგორც ამ სფეროს თეორეტიკოსმა ზუსტად ვიცი: გადამწყვეტი ფაქტორი არსად, არასდროს საარჩევნო კანონი არ ყოფილა. იმიტომ, რომ იგივე, ცუდი საარჩევნო კანონით „ქართულმა ოცნებამ" „ნაცმოძრაობა" ხომ დაამარცხა. საბჭოთა კავშირს რომ დრაკონული საარჩევნო კანონი ჰქონდა, ისეთი ვის ჰქონდა, მაგრამ გამსახურდიამ ხომ დაამარცხა. ეს არავის აღარ ახსოვს. ზვიადმა საბჭოთა კავშირში არჩევნების მოგება შეძლო. სახელმწიფო გადატრიალება ხომ არ ყოფილა. „მრგვალი მაგიდა" ისე მოვიდა ხელისუფლებაში, ერთი ადამიანიც არ მომკვდარა.ე.ი. თუ მოსახლეობა მხარს გიჭერს, არჩევნების მოგება შესაძლებელი ყოფილა. ამიტომ, რასაკვირველია, საარჩევნო კანონს დიდი როლი ენიჭება, მაგრამ არა გადამწყვეტი.ე.ი. არ შეიძლება ოპოზიციისთვის საარჩევნო კანონი პანაცეად იქცეს. იმიტომ, რომ თუ ოპოზიცია ხელისუფლებაში პანაცეად ქცეული საარჩევნო კანონის საფუძველზე მოვიდა, ის მერე, თვითონ იქცევა მონსტრად. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ ამ კრიტიკულ დღეებში



რაღაც შეთანხმება მოხდება და უკვე ოპოზიცია იძულებული გახდება უფრო კრეატიული ტაქტიკა და სტრატეგია ეძებოს. ვინაიდან იგი, უკვე, არჩევნების წაგებას საარჩევნო კანონს ვეღარ დააბრალებს. მეორე საკითხია როგორ ჩატარდება არჩევნები. ვინაიდან ეს არჩევნები ასე მნიშვნელოვანია, ცხადია, თავად არჩევნების პროცესზე ევროკავშირის, უცხოეთის მეთვალყურეობა ტოტალური იქნება. ცხადია, უპრეცედენტო დაკვირვება მოხდება.

**— თქვენ, ახსენეთ ოპოზიცია თავის მარცხს საარჩევნო კანონს ვეღარ დააბრალებსო. ნაცებს სულ არ აინტერესებთ რა სისტემით ჩატარდება არჩევნები, არამედ არეულობა აწყობთ.**

— არეულობაში რას გულისხმობთ?

**— ვითარების ესკალაცია, ქვეყანაში ქაოსის, დესტაბილიზაციის შექმნა.**

— კი, მაგრამ როგორ უნდა მოახერხონ ესკალაცია, ვითარების დაძაბვა? — არ მგონია დღეს, რომელიმე ოპოზიციურ პარტიას 200 ათასი კაცის ქუჩაში გამოყვანა შეეძლოს. ეს შეუძლია მხოლოდ ხელისუფლებას ჩინოვნიკებისა და სახელმწიფო სტრუქტურების — ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე. რა არეულობა უნდა მოაწყონ, სხვა რა შეუძლიათ — იარაღს აიღებენ ხელში თუ თბილისში ბარიკადებს ააგებენ?! ამიტომ, როცა საუბარია დაძაბულობაზე, ესკალაციაზე დაკონკრეტება მინდა, ამაში რა იგულისხმება? რა დაძაბულობის შექმნა შეუძლიათ — ტელე-დებატები ინგა გრიგოლიასთან და ვახო სანაიასთან ეთერში? ამას ხომ დღესაც ვხედავთ და თანაც უკვე ტელე-დებატები ძალიან მომაბეზრებელი და უკვე. შტამპია მათ შტატიანი გამომსვლელები ჰყავთ. არცერთი მათგანი არც პოლიტიკოსია, არც ექსპერტია და არც ანალიტიკოსია როგორც მათ ამ იარლიყებს აწებებენ. მე აღარ ვუყურებ ამ დებატებს. წინასწარ ვიცი ერთი რას იტყვის, მეორეს არგუმენტი რა იქნება. ამიტომ, მე არ ვიცი რა არის ეს დაძაბულობა და ესკალაცია. თუ ეს ტელე-დებატებში ერთმანეთის ლანძღვა-გინებაა, ამას უკვე მივეჩვიეთ. ოპოზიციამ ძალიან სარისკო ნაბიჯი გადადგა, როცა 4 აპრილს აქცია დააანონსა. მით უმეტეს თუ ისე მოხდა, რომ ხელისუფლება დათმობებზე წავიდა, რა ბერკეტი დარჩება ოპოზიციას?! თანაც, ოპოზიციაში გამოჩნდა რამდენიმე ადამიანი რომელმაც თქვა: ჩემთვის ეს დათმობები მისაღები იყო, მაგრამ დანარჩენებისათვის მიუღებელიაო. ასე შეიძლება მოლაპარაკება ჩაიშალოს. იმიტომ, რომ იგივე, დათო უსუფაშვილი დღეს, სულ სხვა პროგნოზს აკეთებს და ბოკერია-ვაშაძე სულ სხვას. არ მგონია, ამჯერად, ხელისუფლება ისეთ დათმობაზე წავიდეს, რომ უკვე მისჯილები, ვთქვათ, უგულავა და სხვები ციხიდან გამოუშვას. იურიდიულ საფუძველსაც ვერ ვხედავ, ეს როგორ უნდა მოხდეს. უნდა შეიწყალონ?! ამიტომ, ეს არ არის ცივილიზებული დიალოგი. მე ამ სფეროს სპეციალისტი ვარ და ვიმეორებ, ეს ცივილიზებული მოლაპარაკებები არ არის. კი გასაგებია, მაქსიმუმი უნდა მოითხოვო, რომ მერე, შენთვის მისაღებ მინიმუმზე დათანხმდე. მაგრამ შენ თუ მაქსიმუმს ითხოვ და წინასწარ იცი, რომ ეს შეუსრულებადია და პრინციპულად, ბოდიში და ჯორზე შეჯდები იმიტომ, რომ მოლაპარაკება ჩაიშალოს, ხალხი ბრმა არ არის და ამას დაინახავს. ხალხი იმასაც დაინახავს ხელისუფლება რა დათმობაზე წავიდა და იმასაც ოპოიზიციამ რაზე

6 გვ. →

# უარყოფით ინფორმაციულ ნარკოტიკზე დამოკიდებული მოსახლეობის ნაწილი შიზოფრენიის ზღვარზეა



*გვესაუბრება პოლიტიკის ექსპერტი სოსო მანჯავიძე*

**— ბატონო სოსო, როგორია რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი, ზედაპირული ანატომია და რა კავშირები არსებობს როგორც რეგიონის, ასევე მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტების განვითარების?**

— საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ დროს ყველა მოვლენა ურთიერთკავშირშია.

თუმცა, ვნახოთ, რა დონეს მიაღწევს ურთიერთდაპირისპირება, მოხერხდება მისი ლოკალიზება თუ კვლავ გაგრძელდება ახალ-ახალი აქტორების ჩართვა დაპირისპირებაში.

საზოგადოდ, არც ერთ ქვეყანას არ სურს ომი. ომების ისტორია ვინც იცის, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ კაცობრიობის ისტორია განუწყვეტელი ომების ისტორიაა.

ერთია, რა შეიძლება მოხდეს, მეორე კი ის, თუ რამდენად თავი-







სუფლები არიან ქვეყნები, არჩევანი გააკეთონ. ამ შემთხვევაში, თურქეთიც, რუსეთიც, სირიაც და ირანიც, მოქცეულნი არიან მკაცრ ჩარჩოებში, რომლებიც მათ მიერეკება ურთიერთდაპირისპირებისკენ, როგორც ორი ჯიხვი რომ ერთმანეთს ეჯახება და გამოსავალი არ აქვთ ბრძოლის გარდა. ზუსტად ასეა მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოთა ურთიერთობა.

დავუშვათ, ერდოგანმა დათმო და გამოვიდა იდლიბიდან. მას მრავალი მიზეზის გამო გაუჭირდება ამ კონფლიქტიდან მშრალად გამოსვლა.

თურქეთში ნაციონალურად განწყობილი საზოგადოებაა. მას არ აპატიებენ იმას, რომ იგივე იდლიბი, სირია და მახლობელი აღმოსავლეთის დიდი ნაწილი, რომელიც ერთ დროს თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ასე დათმოს. თურქულ საზოგადოებას ე.წ. მოჭრილი ფეხის ტკივილის ფანტომური ტკივილი დღემდე აწუხებს. აქვე არსებობს ეკონომიკური ინტერესები და ა.შ. გასათვალისწინებელია ქურთისტანის ინტერესები ჩრდილოეთ ქურთისტანში, რომელიც ქურთული ავტონომიის საკითხებს უკავშირდება. ეს პრობლემები განაპირობებს იმას, რომ გაუჭირდება თურქეთს ამ კონფლიქტისგან უკანდახევა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ თურქეთს იმ რეგიონში სამხედრო თვალსაზრისით, უზარმაზარი უპირატესობა აქვს. რომ წარმოვადგინოთ იდლიბის პროვინცია და მისი მასშტაბები, დაახლოებით, 100/50-ზეა და თუ წმინდა სამხედრო თვალსაზრისით წარმოვიდგენთ სიტუაციას, თურქეთის სახმელეთო და საჰაერო ძალებს უზარმაზარი უპირატესობა აქვთ.

როცა ასეთი ტიპის უპირატესობები გაქვს, ძალიან ძნელია თავი შეიკავო და არ გამოიყენო ისინი ბოლომდე. ასეთ შემთხვევაში, ვერც სირიის და ვერც რუსეთის სამხედრო ძალები თურქეთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ.

პუტინი და რუსეთის ხელისუფლება ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

იმ შემთხვევაში, თუ თურქეთმა მოახერხა და სირიაში გამოიწვია სამოქალაქო დაპირისპირება, ეს იქნება უდიდესი დარტყმა რუსეთის სახელმწიფოსთვის.

ირანი, როგორც სირიის მოკავშირე, ყველანაირად შეეცდება არ დაუშვას იქ მსგავსი ტიპის დაპირისპირებები. იქვე იკვეთება არაბული სახელმწიფოების პოზიციები, მაგალითად, ეგვიპტეს არ ეპიტნავება თურქეთის უპირატესობები სირიაში, წინააღმდეგობრივია ერაყის დამოკიდებულებაც თურქეთის, როგორც ყოფილი დამპყრობელის მიმართ და სხვ.

აქედან გამომდინარე, სცენარები შეიძლება სხვადასხვაგვარად. განვითარდეს.

**— გამოსავალი არ არსებობს?**

— მოლაპარაკების მაგიდასთან შედეგის მიღწევა რთულია, რადგან თურქეთის ნამდვილად არ აწყობს ის მდგომარეობა, რომელიც იდლიბში შეიქმნა. მისი მონაპოვარი, ზავის შემთხვევაში, მიზერული იქნება. ამიტომ თურქეთი მაქსიმალურად შეეცდება დაიბრუნოს ის ტერიტორიები, რომლებიც სირიის არმიამ დაიკავა იდლიბში. ეს არის უდიდესი საფრთხე, ადვილი შესაძლებელია, მოხდეს უფრო ფართომასშტაბიანი ესკალაცია და თუ თურქული ჰაერსაწინააღმდეგო იარაღით ჩამოაგდებენ რუსულ თვითმფრინავს, ადვილი შესაძლებელია, მოხდეს პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება თურქეთსა და რუსეთს შორის. ეს იქნება წინაპირობა ლოკალური კონფლიქტის გლობალურ ომში. რა მოხდება მერე, ამის პროგნოზირება ძნელია, მაგრამ კარგი რომ არაფერი მოხდება, ეს ცხადია.

ამიტომ, ამ საკითხში უნდა ჩაერიოს საერთაშორისო საზოგადოება, გვიანი რომ არ იყოს შემდეგ.

**— მიმდინარე მოვლენები რამდენად უკავშირდება საქართველოში განვითარებულ პროცესებს.**

— როგორც კი აქტიურ ფაზაში შედის თურქულ-რუსული დაპირისპირება, აქტიურდება ამ ურთიერთმოწინააღმდეგე ვექტორების მხარდამჭერი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ელემენტები საქართველოში — რუსულიც და თურქულიც. ისინი ცდილობენ გაამწვავონ პრობლემები, რომლებიც უკავშირდება საქართველოში ამ დაპირისპირებული მხარეების ინტერესებს.

ჯერ კიდევ 2013 წელს გამოვაქვეყნე სტატია სათაურით „საქართველო გეოპოლიტიკური ინტერესების გზაჯვარედინზე“. იქ დაწვრილებით მაქვს განხილული, თუ რა არის თურქულ-აზერბაიჯანული ინტერესების გადაკვეთის და რუსულ-სომხური ინტერესების გადაკვეთის წერტილები საქართველოში.

ძალიან მარტივია საქართველოში იმის დანახვა, როდის ვინ და რატომ აქტიურდება.

**— კერძოდ?**

— ეს ჩემი საქმე არ არის, დანარჩენს უნდა აკეთბდეს შესაბამისი სამსახურები.

**— მინიშნება მაინც რომ გაგეკეთებინათ.**

— როგორც კი მწვავდება რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობა, მომენტალურად აქტიურდება საქართველოში მწვავე საკითხები ქვეყნების მოკავშირეების მიერ ჩვენს ქვეყანაში, ანუ რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების გამწვავების პარალელურად, საქართველოშიც ხდება იმ პრობლემების პროვოცირება, რომლებსაც ცალკე რუსეთის და ცალკე თურქეთის ინტერესების გამტარებელი ჯგუფები ახორციელებენ საქართველოში, ანუ პრობლემების აქტუალიზაცია და საზოგადოებრივი აზრის მომზადება ხდება კონფლიქტის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით.

**— ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით პანიკაა, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. რა ინტერესებს შეიძლება ეს ემსახურებოდეს?**

— ასეთი ტიპის კონსპიროლოგიას ცოტა ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, რომ შიზოფრენიაში არ გადაიზარდოს.

მაგრამ არსებობს თუ არა კორონავირუსი? დიახ, არსებობს ისევე, როგორც არსებობდა ატიპიური პნევმონია, ფრინველის გრიპი, ღორის გრიპი და ა.შ. სხვა თემაა, არსებული გრიპის ვირუსის პოლიტიკური მიზეზით გავრცელების სისტემური მცდელობები სხვადასხვა გეოპოლიტიკური ცენტრების მიერ. ეს არსებობს, ცხადია. თუმცა არის ისიც, რომ მას ანიჭებენ ისეთ მნიშვნელობას, რომელიც, სინამდვილეში, არ აქვს.

ყველას გვახსოვს, შარშანაც იყო გრიპის ვირუსის აფეთქება საქართველოში, ჩემი ერთი ნაცნობი კიდევაც გარდაიცვალა. მთელი თბილისი დაავადდა თითქმის, მაგრამ წარმოიდგინეთ, მაშინ ყოფილიყო ასეთი საინფორმაციო შტურმი და მოსახლეობის დაზაფვრა. დარწმუნებული იყავით, რომ ზუსტად ანალოგიური პანიკა იქნებოდა, როგორც დღეს არის, რადგან დადასტურებული შემთხვევები შარშან უფრო მეტი იყო, ვიდრე წელს.

როგორც ეპიდემია და პანდემია, ასევე არსებობს ინფოდემია. ინფორმაცია თავისი დესტრუქციულობითა და დამანგრევლობით. წარმოუდგენლად გამორჩეული ინფორმაციული შხამების ფაბრიკები, ყოფილი „რუსთავი-2“-ის კლონები „მთავარი“, „ტვ პირველი“ და სხვები, ინფოდემიის აგენტები არიან და რეზონირებენ პანიკასა და დესტრუქციას და სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი დაავადმყოფეს, დღეს საზოგადოებაში გვყავს ადამიანები, რომლებმაც მუდმივად თუ არ მიიღეს უარყოფითი ინფორმაციული აბები, ნარკომანებივით ვერ ძლებენ უამისოდ, ანუ გვყავს უარყოფით ინფორმაციულ ნარკოტიკზე დამოკიდებული მოსახლეობის ნაწილი შიზოფრენიის ზღვარზე.

ეს უბედურება უფრო მეტია, ვიდრე რაიმე სახის ვირუსი და თუ აქედან თავის დასაღწევად რაიმე არ ვიღონეთ, როგორც რეზონანსი ანგრევს ხიდებს და შენობებს, ასევე დაანგრევს ჩვენს ქვეყანას ეს რეზონანსული შიზოფრენია.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ურჯულოების ავანტიურა ქართველი ხალხის სახელით

„ქართველი ხალხის წერილი თავისუფალ სამყაროს“, – ასეთი სათაურით მიმართავს ე.წ. სამოქალაქო საზოგადოება მთელ დუნიას და თავხედურ პეტიციას აქვეყნებს. თავხედურს იმიტომ, რომ რამდენიმე ათეული ურჯულო ლაპარაკობს (წერს) ქართველი ხალხის სახელით. ურჯულო-მეთქი, ჩემში მაინც ზრდილობამ „იძალადა“, თორემ ასეთებს ყველა ეპოქაში სულაც სხვა სახელს, მაგალითად, ბოზებს, ეძახდნენ და დღესაც ასე ეძახიან. მოდით, ბატონებო და ქალბატონებო, ჯერ ვნახოთ, რა წერია პეტიციაში, შემდეგ იმ ურჯულოებზე მოგახსენებთ, ვინც ეს პეტიცია დაწერა, ბოლოს კი ჩვენ წილად მივმართოთ თავისუფალ სამყაროს, ანუ მთელ დუნიას.

მაშ ასე, ურჯულოები წერენ:

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ვითხოვთ დახმარებას ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, სუვერენიტეტისა და დემოკრატიის დასაცავად. საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დემოკრატიის კონსოლიდაციის გზაზე. არაერთი დაბრკოლებისა და შეცდომის მიუხედავად, ასევე სკეპტიკოსთა გასაკვირად, ჩვენი ქვეყანა წარმატებული რეფორმების მაგალითად იქცა. ქართველი ხალხის მტკიცე ნებითა და დასავლეთის მხარდაჭერით, საქართველო რეგიონში დემოკრატიის ლიდერი გახდა. მაგრამ დღეს ყველა ეს მიღწევა აშკარა და მზარდი საფრთხის ქვეშ დგას – ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიას ჩამოშლა ემუქრება. საქართველოს არაფორმალური მმართველი, რუსეთთან კავშირების მქონე ოლიგარქი, ბიძინა ივანიშვილი, ქვეყანას თავის სამფლობელოდ განიხილავს და ასეც მართავს – მმართველი პარტიის თავმჯდომარის პოზიციიდან, ისე, როგორც საბჭოთა კავშირში. ის არ იკავებს სახელმწიფო თანამდებობას, შესაბამისად, არც ანგარიშვალდებულია ამომრჩევლის წინაშე. ოლიგარქი სრულად აკონტროლებს ძალაუფლების სამივე შტოს, იყენებს სასამართლოს, როგორც პოლიტიკურ იარაღს, კრიტიკის ჩასახშობად, პოლიტიკური ლიდერებისა და სამოქალაქო აქტივისტების დასაპატიმრებლად. პროდასავლელი ოპონენტების დემონიზების მიზნით, ის აფინანსებს და აორგანიზებს ანტიდასავლური დეზინფორმაციის კამპანიებს. არაფორმალური მმართველის გაუწონასწორებელი და შეუკავებელი ძალაუფლება თესავს შუღლს და ძალადობას საქართველოში, რითაც მხოლოდ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი – რუსეთი ხეირობს“.

წერილი, რომელშიც კიდევ ბევრი სისულელეა ჩამორაკრაკებული, ბოლოს ასე მთავრდება: „მოგმართავთ დემოკრატიული სამყაროს ლიდერებს, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა საქართველოს არაფორმალური მმართველი, ბიძინა ივანიშვილი დავიყოლიოთ კომპრომისზე – შეწყვიტოს პოლიტიკურად მოტივირებული დევნა და გაათავისუფლოს პოლიტიკური პატიმრები, ჩაატაროს საარჩევნო რეფორმა, რაც შეამცირებს დაძაბულობას და ჩააცხრობს პოლიტიკურ მღელვარებას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელ პერიოდში“.



**პატივცემულო თავისუფალო სამყაროვ**, შენ ვალდებული ხარ, იცოდე, რომ ამ პეტიციის ხელმომწერები (გია ნოდია, მაკა ჩიჩუა, ბათუ ქუთელია, ნონა წოწორია, დავით რაქვიაშვილი, ნანა ალექსანდრია, იაგო კაჭკაჭიშვილი, აჩიკო გულედანი, თინათინ ხიდაშელი, ლაშა ბუღაძე, თამარა ჩერგოლეიშვილი, პაატა შამუგია, გიორგი თარგამაძე, თამარ კინწურაშვილი, დავით პაიჭაძე, დავით ზურაბიშვილი, ნინო ჯანგირაშვილი, ნინია კაკაბაძე, ირაკლი ტაბლიაშვილი, ვატო წერეთელი, მიშა მშვილდაძე, ხათუნა ლაგაზიძე, ზვიად რატიანი და სხვები, სულ 100 ადამიანი) არიან თვითმარქვია ექსპერტები, დიპლომატები, მწერლები, მხატვრები, რეჟისორები, ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები. მათ არ აქვთ უფლება, ილაპარაკონ ქართველი ხალხის სახელით, რადგან ტაშს უკრავდნენ მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ქუჩაში ავტომატებით ცხრილავდა ახალგაზრდებს (150 ახალგაზრდაა მოკლული), როცა ადამიანებს უვარდებოდნენ სახლებში, ღამის 3 საათზე მიჰყავდათ ნოტარიუსებთან და აფორმებინებდნენ დიდძალ ქონებას, თითქოს ისინი სახელმწიფოს ჩუქნიდნენ, რაც ებადათ... როცა ციხეებში ამწყვდევდნენ უდანაშაულო ადამიანებს, ბანკებიდან სესხებს აღებინებდნენ, მერე ამ ბანკების საშუალებით სახლ-კარს ართმევდნენ და საპროცესოებს უფორმებდნენ... როცა ციხეებში 35 ათასი ადამიანი ჰყავდათ გამომწყვდეული და ყოველ მეორეს ან აუპატიურებდნენ, ან აწამებდნენ, ან კიდევ იქიდან მკვდრები გამოჰქონდათ... როცა ციხეებში ისეთი პირობები იყო, ყოველი მეორე „ც“ ჰეპატიტით გახლდათ დაავადებული და არ დაიჯერებთ, პატიმრების სიმრავლით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებდა, ხოლო ევროპაში – პირველს. ცნობისათვის: ამჟამად ამ ქვეყანას ჰყავს 12 ათასი პატიმარი და შეგიძლიათ, გადაამოწმოთ, როგორი იდეალური მდგომარეობაა პენიტენციურ დაწესებულებებში. არ დაგავიწყდეთ, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის დროს ჩვენ გვყავდა 350 ათასი პრობაციონერი. ალბათ გაგიჩნდებათ შეკითხვა, რაში გჭირდებოდათო? ჩვენ, საზოგადოებას არ გვჭირდებოდა, ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ხრიკი, რათა ეს ადამიანები საარჩევნო ურნასთან საიმედოდ ჰყოლოდათ დაბმული და თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ ჰყავდათ ოჯახის წევრები, ხელისუფლებას დაახლოებით მილიონი ხმა ჰქონდა გარანტირებული. დიახ, ამ პეტიციის ხელმომწერები ტაშს უკრავდნენ კი არა, ბევრი მათგანი თვითონ არის დამნაშავე, რადგან იმ პერიოდში იკავებდა მნიშვნელოვან თანამდებობას.

**პატივცემულო თავისუფალო სამყაროვ**, ეს ადამიანები შორიდან უყურებდნენ 2007 წლის ნოემბერის დარბევას, როცა დემოკრატიის ე.წ. შუქურამ, მიხეილ სააკაშვილმა მიწასთან გაასწორა სახალხო მღელვარება. ასევე შორიდან უყურებდნენ (ალბათ ორგაზმსაც განიცდიდნენ) 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან გაჩაღებულ ერთდღიან ომს და ხმა არ ამოუღიათ, როცა ჩვენი ჯარისკაცების გვამები ცხინვალის ქუჩებში დატოვეს, როცა ხელისუფლების წევრები სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებისკენ გაიქცნენ, როცა კაპიტულაციაზე ხელი მოაწერეს, როცა 70 სტრატეგიული ობიექტი რუსებს გადასცეს, როცა კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ უწოდეს და ესეც, ტყვიის გასროლის გარეშე, რუსებს ჩააბარეს, როცა ახალგორის რაიონის 200-მდე სოფელს ქვების გროვა უწოდეს და ესეც რუსებს აჩუქეს. ესეც არ იკმარეს, 2008 წლის 12 აგვისტოს თბილისში დიდი ზეიმი გამართეს და წაგებული ომი გამარჯვებად გამოაცხადეს. მეტსაც გეტყვით, როდესაც მანამდე რუსებმა შემოგვიტიეს, ეს ადამიანები და მათი მფარველები „წითელ ხიდზე“ გარბოდნენ, ყველა და ყველაფერი მიატოვეს. როდესაც გორში ჩასულმა მიხეილ სააკაშვილმა თვითმფრინავის ხმა გაიგო, კურდღელივით მოკურცხლა და მინდორ-ველები ლამის ცხვირით გადახნა.

დიახ, აი, ეს ადამიანები მაშინ ტაშს უკრავდნენ და ამართლებდნენ მოღალატე, სისხლისმსმელ, რუსეთის საქმეების მკეთებელ რეჟიმს, ახლა კი, როცა საქართველოში მართლა დემოკრატია (ზოგჯერ ნამეტანიც კი) დამყარდა, როცა ციხეებში აღარავის აწამებენ, სახლში აღარავის უვარდებიან, ქუჩებში აღარავის ცხრილავენ და მცირერიცხოვან, პროვოკაციულ მიტინგებს ლამის თბილი წყლით შლიან, ცდილობენ, ისევ დააბრუნონ საქართველოში შავ-ბნელი დღეები.

**თავისუფალო სამყაროვ**, შენ აუცილებლად დაგებადება შეკითხვა, ხელმომწერთაგან ზოგი ივანიშვილის ხელისუფლების წევრი იყო, განა ესენიც ცრუობენო? თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთები უფრო ცრუობენ – როგორც კი თანამდებობები დაატოვებინეს, გაბოროტდნენ და შურისძიებაზე გადავიდნენ. მაგალითად, თინა ხიდაშელი – ეს ადამიანი, თავის მეუღლესთან, დავით უსუფაშვილთან ერთად, გახლდათ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი, რომელსაც საზოგადოებაში აქვს 1%-იანი რეიტინგი, ხოლო ხიდაშელ-უსუფაშვილს, ცოლ-ქმარს აქვს 000,1% რეიტინგი. ახლა აგვიხსენით, რატომ უნდა იყოს ჩამოწერილი ხალხი უმაღლეს თანამდებობებზე? რატომ უნდა იყოს 0001%-იანი პოლიტიკოსი პარლამენტის თავმჯდომარე, ან თავდაცვის მინისტრი? რომ არა ბიძინა ივანიშვილის მეცადინეობა, ესენი ვერასოდეს იქნებოდნენ და ვერც მომავალში იქნებიან ხელისუფლებაში. ვინმე თუ დანიშნავს მაგათ სადმე, თორემ ხალხი არასოდეს აირჩევს.

გია ნოდია – ეს უბადრუკი არსება გახლდათ სააკაშვილის ხელისუფლების განათლების მინისტრი, ე.წ. ექსპერტი!

მაკა ჩიჩუა – ჩვენთან პრეზიდენტად რომ მუშაობდა და 5 წლის განმავლობაში „ვეტოებით“ რომ თამაშობდა, მისი ცოლია, გიორგი მარგველაშვილის. რაკი მისი ქმარი მეორედ აღარ დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატად, „ნაციონალებში“ შევარდა და იქიდან ბოდიალობს!

ნანა ალექსანდრია – გიგა ბოკერიას დედა. ეს უნიკალური შემთხვევაა, ეს ქალბატონი ერთი ხელით ბიძინა ივანიშვილისგან „სტიპენდიას“ იღებს ბიძინა ივანიშვილისგან,

6 გვ. →











# ოპოზიციას დაავიწყდა, რომ არჩევნებს იგებს არა საარჩევნო სისტემა, არამედ ხალხის მხარდაჭერა

3 გვ.

თქვა უარი. აქ, ყველაფერი კომპრომისების თანაფარდობაზე გადის. დღეს, უკვე, ეს მოლაპარაკება ფინიშის სწორზეა და საბოლოო ეტაპი, კომპრომისების თანაფარდობაა. ორივე მხარემ თავისთვის უნდა განსაზღვროს მეორე მხარე რაზე არის წამსვლელი და რაზე — არა. უნდა განისაზღვროს წითელი ხაზები და შეუსრულებადი რამ არ უნდა მოითხოვონ. აი, ეს არის კომპრომისი. იმიტომ, რომ კომპრომისსა და კაპიტულაციას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. დღეს, ორივე მხარე ავადმყოფურად ეჭვიანობს იმაზე, რომ ელექტორატმა მათ კაპიტულაცია არ დააბრალოს. დღეს, ზოგადად, სახის შენარჩუნების პრობლემაა. ეს ჩვენს ქართველ პოლიტიკოსებსაც აწუხებთ. შეთანხმების ფორმულის ანალიზი უფრო გაგვიადვილებს არჩევნების შედეგების პროგნოზირებას.

**— ვის რა შანსები აქვს? გაერთიანებული ოპოზიცია რა წარმონაქმნია. უკვე გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობები.**

— დიახ, მათი პროგნოზები, მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, განსხვავებულია. მათში, ერთადერთი, განსხვავებულია „გირჩი" გახლავთ. არ მგონია, დღეს, „გირჩის" ტაქტიკა გამართლებული იყოს: შევთანხმდეთ, რათვის მერე ხალხი სახლებში ჩაიკეტოს და გარეთ არავინ გამოვიდეს. თვითიზოლაცია ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდია. რაც ნაკლებ ადამიანთან გექნება კონტაქტი, მით ნაკლებია გადადების საფრთხე.

**— დასაწყისში ახსენეთ, ევროპელი პარტნიორების კრიტიკული წერილებით ხელისუფლება უფრო ზარალდებაო. ადრე, ისპაჰანში, მოსკოვში წყდებოდა ჩვენი საქმე, ახლა კონგრესმენები გვიქნევენ თითს. რა ხდება?**

— თავის დროზე ერთმა ძალიან ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა მითხრა: აბა, ერთი აიღე კალამი და ჩამოწერე საქართველოს საგარეო პლიტიკა თბილისში როდის დგინდებოდაო. ეს საკითხი ხან არაბებში წყდებოდა, მერე, მონღოლებში, მერე სპარსეთში, მერე ოსმალეთში, ბოლოს რუსეთში. თუ გამოვთვლით, ამ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ჰა-ჰა ასი წელი მოგროვდეს, როცა თავად ვწყვეტდით ამა თუ იმ საკითხს. მარტო ჩვენ ხომ არ ვართ ასეთ მდგომარეობაში. ამ ვითარებაშია, თითქმის, ყველა ჩვენისთანა პატარა ქვეყანა, რომელსაც ძალიან რთული პრობლემური მეზობელი ჰყავს. მაგრამ სხვა ქვეყნებმა ასეთ მეზობლებთან ურთიერთობის მოდელი მოძებნეს. ფინეთმა საბჭოთა კავშირთან



იქნება გამარჯვების შემდეგო. შე კაი კაცო, ჯერ იმაზე იფიქრე: როგორ გაიმარჯვო. მაგრამ შენ თუ 31 ოქტომბრამდე იმაზე იდავე თუ რა იქნება გამარჯვების მერე, მოვა არჩევნები და შენ კიდევ იმაზე იჩხუბებ: რა იქნება რომ გავიმარჯვებო. მაშინ საკუთარი ყურებივით ვერ ნახავ გამარჯვებას. ამიტომ, „გირჩის" ეს საერთო განწყობიდან ამოვარდნილი ფორმულა — წინასწარ განვსაზღვროთ რა იქნებაო, მიუღებელია. ამის განსასაზღვრად წლები ჰქონდათ და მაშინ ეს მოლაპარაკებები არჩევნებამდე ცხრა თვით ადრე კი არ უნდა დაეწყოთ, არამედ არჩევნებამდე ორი წლით ადრე. ახლა როცა ცაიტ-ნოტში ხარ, როცა ფინიში კარსაა მომდგარი, ზაფხული მოდის, პრაქტიკულად, მკვდარი სეზონი, მაშინ გაგახსენდა ეს საკითხი?!. თან კორონა ვირუსიც შემოვიდა, რაც წინასაარჩევნოდ ყველაფერს ხელს შეუშლის. თუ ეს ვირუსი ერთი-ორი თვე გაგრძელდა, ვერ წარმომიდგენია წინასაარჩევნო კამპანია როგორ უნდა ჩატარდეს. საარჩევნო კამპანია რა არის? — ხალხში გასვლა, კონტაქტები, ხომ. ამ დროს გადაადგილება, კონტაქტი შეზღუდული იქნება. ადამიანებს ხელი არ ჩამოართვათ, ახლოს არ მიხვიდეთო, ამას გვეუბნებიან ექიმები. წინასაარჩევნო კამპანია სხვაგვარად უნდა წარიმართოს. არავინ იცის, რა იქნება. ორ თვეში საქართველოში კორონა ვირუსის ფონი როგორი იქნება, არავინ იცის. შეიძლება ორი ურთიერთობის მოდელი ბრწყინვალედ გამოძებნა. იგი თან, ევროპული ქვეყანა იყო, კერძო საკუთრება ქონდა და ამ დროს, საბჭოთა კავშირთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა? — ზაფხულში, მაშინ პეტერბურგს ლენინგრადი ერქვა და იქ, ვერ ჩახვიდოდი იმიტომ, რომ სასტუმროში თავისუფალი ადგილები არ იყო. მთელი ლენინგრადი ფინელი ტურისტებით იყო გავსებული. იქ, მშრალი კანონი იყო და სალოთაოდ ლენინგრადში ჩამოდიოდნენ. ამიტომ, ეს გახლავთ ჩვენი ქართული დიპლომატიის აქილევსის ქუსლი — ბოლომდე არ ვიცით რუსეთს ჩვენგან რა უნდა. რუსეთი ძალიან პრობლემური ქვეყანაა. იგი თავად ვერ ჩამოყალიბებულა რა უნდა საქართველოსგან. მან მშვენივრად იცის, რომ საბჭოთა კავშირი ველარ აღდგება, ეს არ უნდათ, მაგრამ როგორი იყოს ნორმალური ურთიერთობა ეს თავად რუსეთშიც, საბოლოოდ, გარკვეული არ არის.

**— გამოდის არ ვიცით რუსეთს რა უნდა ჩვენგან და არც ის ჩვენ რა გვინდა მისგან?**

— დიახ, არ ვიცით. ჩვენც არ ჩამოვყალიბებულვართ რა გვინდა. ვიძახით: ნატო, ნატოო, მაგრამ ამ დროს ხომ რუსეთმაც და ჩვენც მშვენივრად ვიცით, რომ განჭვრეტ მომავალში ნატოში ჩვენი მიმღები არავინ არის.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ურჯულოების ავანტიურა ქართველი ხალხის სახელით

5 გვ.

მეორე ხელით კი პეტიციას აწერს ხელს და აცხადებს, ეს კაცი არაფორმალური მმართველია, ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავსო. აბა, დაიდეთ გულზე ხელი და ალალად გვითხარით, ასეთი დემოკრატია სადმე გინახავთ? შეიძლება არ დაიჯეროთ, ასეთები ბევრნი არიან, მშობლები დახმარებას იღებენ ივანიშვილისგან, შვილები ივანიშვილს ებრძვიან და ათასნაირ სიბინძურეს აბრალებენ!

დანარჩენებზე რა მოგახსენოთ? ზოგი მწერლად ასაღებს თავს, ზოგი ჟურნალისტად, ზოგი საზოგადო მოღვაწედ, ზოგი ექსპერტად. ამ დროს ყველა მათგანი მიხეილ სააკაშვილის ძუძუზე იყო გამობმული, ყველა მათგანი იქიდან იკვებებოდა და რა გასაკვირია, დღევანდელი სიტუაცია არ მოსწონდეთ? პირდაპირ გეტყვით: ეს ადამიანები არიან მოღალატეები, ფულს გამოკიდებული ბინძური ადამიანები. ყველაზე დიდი თავხედობა კი ის გახლავთ, რომ ესენი ლაპარაკობენ ქართველი ხალხის სახელით. ნახეთ, აქაც კი შეცდომას უშვებენ – ქართველი ხალხის სახელით აპელირებენ მაშინ, როცა საქართველოში ცხოვრობს 80 ეროვნების წარმომადგენელი. გარდა ამისა, ხაზგასმით მოგახსენებთ, რომ ქართული გვარის მატარებელი ყველა ადამიანი არ არის ქართველი – სერგო ორჯონიკიძესაც ქართული გვარი ჰქონდა.

და ბოლოს... სისულელეა, როცა წერენ, წინა ხელისუფლების დროს საქართველო დემოკრატიის მხრივ ლიდერი იყო რეგიონში, ხოლო ახლა ახალგაზრდა დემოკრატიას ჩამოშლა ემუქრებაო. პირიქით, საქართველო ძლივს გამოვიდა ჯოჯოხეთიდან და ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაძირლები ვერასოდეს დაბრუნდებიან ხელისუფლებაში!

სისულელეა, როცა წერენ, რუსეთთან კავშირების მქონე ბიძინა ივანიშვილი საქართველოს თავის სამფლობელოდ განიხილავსო. პირიქით, რომ არა ეს ადამიანი, საქართველოში ამდენი რამე ვერ აშენდებოდა და ვერც ბიზნესი განვითარდებოდა. აქაც სურათს უკუღმა ხატავენ, თვითონ აქვთ კავშირები რუსეთში, აქვთ ბინები „მოსკოვებში" და არც ბიზნესებზე ამბობენ უარს. მეტიც, ბევრ მათგანს რუსეთში აქვს მიღებული განათლება!

სისულელეა, როცა წერენ, საქართველოში თავისუფალ სიტყვას ახშობენ, მშვიდობიან მიტინგებს არბევენ და ადამიანებს პოლიტიკური მოტივით დევნიანო. ეს ბრალდება არა მხოლოდ სიცრუეა, არამედ – სასაცილოც. რასაც დღეს ე.წ. ქართული ტელევიზიები ბედავენ, ამის 2% რომ წინა ხელისუფლების დროს რომ გაებედათ, ყველას სპეცრაზმი დაალეწავდა თავზე აპარატურას და ჟურნალისტებს ისე გაურჩევდნენ საქმეებს, სააკაშვილის მუხლებს დააკოცნინებდნენ. სწორედ ასეთი „დავერბოვკებული" ჟურნალისტები არიან შემოჭრილნი დღეს ქართულ მედიასივრცეში და ამყრალებენ სიტუაციას. მადლობა უფალს, ქართველი ხალხი მიხვდა, ვისთან აქვს საქმე და ხშირად ამათ მიერ დახატული ტრაგიზმი კომიზმად გამოიყურება. ხალხის ცნობიერება გაიზარდა, პატივცემულო თავისუფალო სამყაროვ, ვირეშმაკობა, სიცრუე და ფეიკ-კრეტინიზმი აღარ ჭრის.

**პატივცემულო თავისუფალო სამყაროვ**, ამ პეტიციის გამოქვეყნებიდან ორ კვირაში შეუერთდა მხოლოდ 350 ადამიანი. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 3 მილიონ 718 ათას 200 ადამიანი. აბა, ახლა დაფიქრდით, 350-მა ადამიანმა რატომ უნდა ილაპარაკოს მთელი ერის სახელით?!

დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

**3 მილიონ 717 ათას 850 ადამიანის დავალებით წერილი შეადგინა**

**გელა ზედელაშვილმა**



# მიხეილ სააკაშვილის ბანდის წევრებს უკრაინაში ისევ ასაქმებენ

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილი კიევში მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად გაემგზავრა. სიტყვა „გაემგზავრა“ აქ უადგილოდაა გამოყენებული, უბრალოდ კიევში სააკაშვილთან ჩაეთრა „სამავნებლო საქმიანობის“ დასაგეგმად. როგორც სანდო წყარო გვატყობინებს, მაჩალიკაშვილი სასტუმრო „პრემიერში“ დააბინავეს და შეხვედრაც იქვე გაიმართა. სიტყვა „შეხვედრაც“ უადგილოდაა გამოყენებული — მავნებლები შეიყარნენ, რათა შემოდგომაზე დაამხონ ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელისუფლება, ანუ გააპარტახონ და დედა



მოუტ...ნან მთელ ქვეყანას. მართალია, ამას არავინ დაუშვებს, ეს არ მოხდება, მაგრამ სურვილი რომ აქვს თუნდაც ერთ ხროვას, მაინც ცუდია.

მოკლედ, სასტუმრო „პრემიერში“ მაგიდას მიუსხდნენ მალხაზ მაჩალიკაშვილი, იგივე ვახა ტერლოევი, მიხეილ სააკაშვილი, მისი ყოფილი რძალი ხატია დეკანოიძე, მიშასდროინდელი გენშტაბის უფროსი გიგი კალანდაძე, ზურაბ ადეიშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე.

მათი განხილვის საგანი, რა თქმა უნდა, იყო ის, თუ როგორ, რა მეთოდებით გააძლიერონ არსებული ხელისუფლების დისკრედიტაცია და როგორ ჩამოიშორონ ამ ხელისუფლების მომხრეები. სააკაშვილის დავალების თანახმად, მთავარი სამიზნე უნდა იყოს ბიძინა ივანიშვილი. კონკრეტულად მალხაზ (ვახა) მაჩალიკაშვილმა ამ მხრივ უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ანუ უფრო უნდა მოუმატოს მის ლანძღვას და გადაიბიროს რაც შეიძლება მეტი ადამიანი.

მეორე პიროვნება, რომლის მოშორებაზეც ისაუბრეს, ეს გახლავთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი. როგორც წყარო აღნიშნავს, ამ მხრივ ასეთი სქემა შეიმუშავეს: რაკი ბოლო დროს სოსო გოგაშვილი გააქტიურებულია, როგორმე უნდა განეიტრალდეს და თანაც ისე, რომ ყველაფერი „ქართულ ოცნებას“ „შეეტენოს“ და ის მმართველ გუნდს დაუპირისპირდეს.

ეს კიდევ არაფერი, 20 თებერვალს აღნიშნულმა „სასტავმა“ რესტორან „ლაზიკაში“ იქეიფა, რომელიც ეკუთვნის მიხუინ ზურაბ მიქავას, ხოლო მეწილე გახლავთ ბუბა (ვახტანგ) კიკაბიძე. ბობოლა „ნაციონალებმა“ ციხიდან ვანო მერაბიშვილის გათავისუფლება აღნიშნეს. განხილვის თემა ამ შემთხვევაშიც ბიძინა ივანიშვილი იყო უარყოფით კონტექსტში. რამდენჯერმე ახსენეს სოსო გოგაშვილიც და შეამკეს უცენზურო სიტყვებით. თუმცა სუფრასთან განიხილებოდა საკადრო საკითხებიც — არ დაიჯერებთ და, როგორც სანდო წყარო იტყობინება, როგორც უკრაინული და ქართული მხარეებიც ადასტურებენ, ზურაბ ადეიშვილმა ამ დღეებში მიიღო უკრაინის მოქალაქეობა და დაინიშნა გენპროკურატურის კადრებისა და რეფორმა-განვითარების სამსახურის უფროსად. ლევან ვარშალომიძე — აჭარის ყოფილი „ლომი“ ამ კვირაში ინიშნება პრეზიდენტ ზელენსკის მრჩევლად ეკონომიკისა და ინვესტიციების მიზიდვის დარგში. ვარშალომიძე კარგად „მოგიზიდავს“ ინვესტიციებს, პან ზელენსკი, შეიძლება ნახევარი მოგიტანოს დათქმულ ადგილზე. როგორც ჩვენი წყარო იტყობინება კიევიდან, გია ლორთქიფანიძე უკრაინის უშიშროებაში (სბეუ) მუშაობს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსად. თურმე გია უდესიანიც გააქტიურდა, რამდენიმეჯერ უკვე ყოფილა ოდესაში.

რა ხდება, რატომ ინიშნებიან მიხეილ სააკაშვილის კადრები უკრაინის ძალოვან უწყებებში, რატომ დაევალა ძებნილ და თაღლით ადეიშვილს პროკურორთა კადრების შერჩევა? ხომ არ უნდა ველოდოთ უახლოეს ხანში რომელიმე თანამდებობაზე სააკაშვილის დანიშვნასაც? წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სააკაშვილის სადმე დანიშვნა ამ ეტაპზე არ იგეგმება. თუმცა როგორც ჩანს, რაკი მის კადრებს ასაქმებენ, ზელენსკის ხელისუფლებაშიც გაიჭრა რაღაც არხი, სადაც ნელ-ნელა იზრდება მისი გავლენა. სუფრასთან უთქვამს კიდეც სააკაშვილს, მე უკრაინა უფრო





მაინტერესებს, ვიდრე საქართველო, რომ არა ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი, შეიძლება საერთოდ არ დავინტერესებულიყავიო.

რა მოვლენამ მისცა ბიძგი სააკაშვილის კადრების დაწინაურებამ? ალბათ, გახსოვთ, ერთი თვის წინ მიხო გამოშლიგინდა ერთ-ერთი უკრაინული ტელევიზიის ეთერში და განაცხადა, ვოლოდიმერ ზელენსკის პოლიტიკა უკრაინას ხუთ ნაწილად დაშლის, ამ ქვეყანას დაღუპავსო. ძალიან ძნელად დასაჯერებელია, ამ შეტევის გამო ზელენსკი შეშინდა და მიხოსთან რაიმე გარიგებაზე წავიდა, მაგრამ ფაქტია, ამის მერე დაიწყო ის პროცესი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

ვინ მფარველობს სააკაშვილს და მის შანტრაბას, რა ოხრობად უნდათ მისი კორუმპირებული და ძებნილი კადრები? ჩემი აზრით, ამ საქმეში გარეულია რამდენიმე კონგრესმენი და რამდენიმე ევროპარლამენტარი, რომლებთანაც დავალებულია ზელენსკის პატრონი იგორ კოლომოისკი. ეს ის ოლიგარქი კოლომოისკი გახლავთ, რომელიც სააკაშვილს ამხედრებდა და აფინანსებდა პოროშენკოს წინააღმდეგ. კი, ბატონო, სააკაშვილ-კოლომოისკის კი ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა მაიდნის ამბებში და შემდეგაც, მაგრამ პოროშენკოს გასტუმრების შემდეგ მათი გზები გაიყარა. თუმცა კოლომოისკის მაინც დარჩა ვალი — უნდა მიხედოს მიხოს ძმაკაცებს. არ მგონია, ზელენსკი და კოლომოისკი ისეთი შტერები იყვნენ, რომ „მეამბოხე“ სააკაშვილი ისე გააძლიერონ, მერე გატრაკება დაიწყოს, მაგრამ პრეზიდენტყოფილისთვის ესეც საქმეა — ძალოვან სტრუქტურებში თავისი „კაცები“ ეყოლება და ბევრი ინფორმაციაც ექნება საინტრიგნოდ თუ საშანტაჟოდ.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ სააკაშვილის ხროვა უკრაინაში დასაქმდება, ეს ჩვენთვის შეიძლება სასიამოვნოც კი იყოს, მაგრამ ზელენსკისთვის რომ ზედმეტ თავის ტკივილად იქცევა, ცხადია.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61









# ვინ შეაჩერებს ბანდას, რომლის ყაჩაღური მოქმედებები შეიძლება მეგრელების და სვანების დაპირისპირების მიზეზი გახდეს

## „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს



ომუნეს ჯიხა



**ბატონო ბიძინა,**

ვადასტურებთ თქვენდამი უსაზღვრო პატივისცემას და მოკრძალებას.

თავიდანვე გვინდა მოგახსენოთ, რომ წინამდებარე წერილს არა აქვს არანაირი პოლიტიკური კონტექსტი; ჩვენ ხელისუფლების ოპონენტები კი არა, მისი მხარდამჭერი ადამიანები ვართ და მთელი არსებით მივესალმებით ქვეყნის გამთლიანებას, მის აყვავებას, სიწყნარეს, სიმშვიდესა და ურთიერთპატივისცემას.

საკითხი ეხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში მდებარე კოლხურ კოშკს და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

ცხადზე უცხადესია, რომ ადამიანთა ერთმა ჯგუფმა, კარგა ხანია განიზრახა ჯვარის ე.წ. ომუნეს კოლხური კოშკის მითვისება, აქედან გამომდინარე, შორს მიმავალი მზაკვრული ჩანაფიქრით.

ჯერ კიდევ 2006 წლის მაისში,, მიზნის მიღწევის გზაზე დაინტერესებულმა პირებმა, ათასნაირ ხრიკებს მიმართეს და ბოლოს მოიფიქრეს ის, რომ აღნიშნული საქმე ეკლესიის მანტიით შემოსეს. წალენჯიხა-ჯვარი მესტიის გზაზე რამოდენიმე კილომეტრით შემოიჭრნენ წალენჯიხის ტერიტორიაზე და გზის გასწვრივ დადგეს აბრა წარწერით-„ზემო-სვანეთის ეპარქია“.

ამ სიტუაციაში, ბუნებრივია, აუცილებელი იყო რეაგირება და ასეც მოხდა: წალენჯიხის რაიონის საზოგადოებრიობამ, საპროტესტო წერილით მიმართა მაშინდელ გუბერნატორს ზ. გოროზიას და ზუგდიდ-აიშის ეპარქიის მეუფე გერასიმეს.

იმ ხანად საქმეში ჩაერია მეუფე გერასიმე და საკითხი ერთ დღეში მოგვარდა. გამოხდა ხანი და თითქოს კონფლიქტი ამოიწურა, მაგრამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საკითხმა კვლავ შეიძინა აქტუალობა.

ხაზგასმით გვინდა მოგახსენოთ იმის შესახებ, რომ 1982 წელს ომუნეს ჯიხას თვითნებურად გადაკეთებისა და ამის საფუძველზე წალენჯიხის რაიონის ძირძველი მიწის- სოფელ ხუდონის მიტაცების მცდელობა მუდმივად იყო წალენჯიხის საზოგადოებრიობის ყურადღების ქვეშ, რასაც ადასტურებს მასმედიაში წლების მანძილზე გამოქვეყნებული არაერთი საპროტესტო წერილი.

2017 წლის 28 ნოემბერს წალენჯიხის საზოგადოებრიობამ წერილით მიმართა კულტურის მინისტრს ბ-ნ ბ. გიორგაძეს, რომელმაც ეს მასალა ქვემდებარების მიხედვით გადაუგზავნა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ნიკოლოზ ანთიძეს.

ამის შემდეგ, 2017 წლის 15 დეკემბერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკადემიკოსმა, ქალბატონმა ნანა ხაზარაძემ და პროფესორმა გონელი არახამიამ თავიანთი მოსაზრება მიაწოდეს ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს, გუბერნატორ ლევან შონიას და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს ბ. ფარცვანიას და თ. ღვინჯილიას. სამწუხაროდ, ვერც ამას მოჰყვა რაიმე ანგარიშგასაწევი შედეგი.

2018 წლის თებერვალში გაზეთ „ეგრისის მაცნე“-ში გამოქვეყნდა სტატია – „ომუნეს ჯიხას სახიფათო სვანური ქუდი“, სტატიის ავტორი გახლდათ ამ საქმეში ღრმად ჩახედული და უაღრესად კომპეტენტური პიროვნება, საქართველოს ალ.ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი.

2018 წლის 16 მარტს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ვრცელი სტატია-ფუნდამენტური დასკვნა-„ერთი შუასაუკუნოვანი კოშკის თავდაპირველი იერსახისა და დაუსაბუთებელი რესტავრირების შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდა ხუთი პროფესორი, მათ შორის ერთი აკადემიკოსი; თითქოს ამ დასკვნას წერტილი უნდა დაესვა აღნიშნული საკითხისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა.

რამოდენიმე ხანში, 2018 წლის 15 მაისს, იძულებული გავხდით საკითხი დაგვესვა, ყოფილი პრემიერის გ.კვირიკაშვილის წინაშე, რომელმაც ჩვენი წერილი გადაუგზავნა მ.გიორგაძეს, მ.გიორგაძემ ნ.ანთაძეს და კვლავ გაგრძელდა მოჯადოებულ წრეზე სიარული. ბოლო ინფორმაციით ნ.ანთიძემ ეს მასალები გადაუგზავნა ეკონომიკის სამინისტროს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას დაჰპირდა, რომ ეკონომიკის სამინისტრო მას კვლავ გარანტირებულად გადასცემდა ადგილობრივ ხელისუფლებას.

2018 წლის 5 ოქტომბერს, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ყოფილმა მოადგილემ, ორი მოწვევის პარლამენტარმა, წალენჯიხის საპატიო მოქალაქემ ვალერი ჭანტურიამ წერილობით მიმართა პრემიერ მინისტრს ბ-ნ მამუკა ბახტაძეს, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საბჭოს სხდომაზე განეხილა სადავო საკითხი. პრემიერი დასჯერდა მხოლოდ იმას, რომ განცხადება ქვემდებარების მიხედვით გადაუგზავნა ნ.ანთიძეს, რომელსაც ცხადია, არც განუხილავს საკითხი და განცხადებისათვის დღემდე პასუხიც არ გაუცია.

მას მერე გავიდა სამ თვეზე მეტი, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. ბუნებრივია, რომ ჩვენ საფუძველშივე შეგვეპარა ეჭვი ნ.ანთიძის გულწრფელობაში, ვგრძნობდით, რომ საქმე გვქონდა მორიგ ცუღლუტობასთან. მოხდა ის, რასაც ველოდით: ეკონომიკის სამინისტრომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს კი არა, ნ.ანთიძეს გადასცა ძეგლიც და მისი მიმდებარე ტერიტორიაც.

ეს იყო ვერაგობისა და უსინდისობის კლასიკური მაგალითი.

ჩვენ ვთვლით, რომ საქმეს თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით აფერხებდა ბატონი ნ.ანთიძე, მას დრო გაჰყავდა, ათასგვარ ხრიკებს მიმართავდა, ბინძური მეთოდებით ცდილობდა მიზნის მიღწევას მანამ, სანამ არ დადგა ის შედეგი, რაც დადგა.

ჩვენთვის დღესავით ნათელია, რომ ნ. ანთიძე უნისონში მოქმედებდა იმ პირებთან, რომლებიც მრავლად არიან ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.

ნ.ანთიძე ცეცხლს ეთამაშება, მას სრულად არ აქვს გაცნობიერებული საკითხის სიმწვავე.ნ.ანთიძემ ვერ გაიგო, რომ მისი დესტრუქციული მოქმედება უკიდურესად ძაბავს სიტუაციას, მან ვერ გაიგო ან არ სურს გაიგოს, რომ აშზადებს არაპროგნოზირებად კონფლიქტს, რომელიც შეიძლება ჩვენი ქვეყნისთვის დაძაბულობის კიდევ ერთი, უკიდურესად საშიში კერა გახდეს.

ჩვენი სამშობლო-სრულიად საქართველო დღეს ბევრი გამოწვევის წინაშე დგას და ასეთ დროს, გაერთიანების და ურთიერთთანადგომის ნაცვლად ამგვარ კონფლიქტს არამც და არამც არ აქვს გამართლება.

ძალმომრეობა და უსინდისობა უნდა დამთავრდეს, წალენჯიხის დაჩაგვრა-სამეგრელოს დაჩაგვრაა. ჩვენ მარტო არ ვართ. ფაქტია, რომ ბევრისგან განსხვავებით დღეს, საქართველოს პარლამენტში და მთავრობაში წალენჯიხას არავინ არ ჰყავს მხარდამჭერი, მაგრამ სიმართლეს წინ ვერავინ დაუდგება. სიმართლე ხომ ურმით დადის, მაგრამ ყველგან მივა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ წალენჯიხა თავს დაიცავს და არავის დაეგება ფიანდაზად.

ნიკა ანთიძე ავანტურისტია და საჭიროა დროზე შეაჩეროთ იგი-სანამ ურემი არ გადაბრუნებულა.

თავისთავად ცხადია, რომ კულტურის ძეგლის დამახინჯება ყველა შემთხვევაში დასჯადია, მაგრამ გულწრფელად გითხრათ ამ ერთი ძეგლის გადაკეთების გამო ხმაურს არ ავტეხდით, რომ არა ლატენტურ ფორმაში არსებული უბინძურესი გათვლა, რომლის მიხედვითაც ომუნეს ჯიხას „ეპოპეა“ მიზნად ისახავს წალენჯიხის მუნიცპალიტეტის სოფელ ხუდონისა და ენგურჰესის მიტაცებას.

გარკვევით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ჩვენ არ მოგვითხოვია ძეგლის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა. მეტიც, არც გვაინტერესებს, ვის ბალანსზე იქნება იგი, მთავარია ძეგლს დაუბრუნდეს პირვანდელი სახე. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილების გარეშე წალენჯიხის საზოგადოებრიობა არ დაუშვებს მასზე რესტავრაციის სამუშაოების დაწყებას, მით უმეტეს -ჯარგვალისა და სხვა ამგვარ ნაგებობათა მიშენებას.

ხუდონი ტრაგიკული სოფელი გამოდგა.

1949 წელს 450 კომლიანი, ეკონომიკურად ღონიერი სოფელი იძულებით აყარეს და ჩაასახლეს აფხაზეთში; საფლავები აქ დარჩა.

ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით 1976 წელს ეს საფლავები ამოთხრილი და გადატანილ იქნა სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში. გადის გარკვეული წლები, აფხაზეთის ომი; ხუდონიდან აყრილი და სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში ჩასახლებული მოსახლეობა, ამჯერად იქიდანაც გამოდევნეს და საკუთარ სამშობლოში ლტოლ-



ენგურჰესი


ჯვარი

ვილებად აქციეს, საფლავები კი იქ დარჩა.

ადამიანის ტრაგედიას ხომ უნდა დაესვას წერტილი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახლა ვიღაცეებს გაუჩნდათ სურვილი მიითვისონ ომუნეს ჯიხა და შემდეგ ეს ტერიტორია, რაც თავისთავად გულისხმობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტისათვის ენგურჰესის წართმევას. ამის გარდა, დაანონსებულია ზემო და ქვემო სვანეთის გაერთიანება და მის ბაზაზე ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა.

ყველაფრის არც დაწერა შეიძლება და არც გახმოვანება, მაგრამ გამგები გაიგებს: წალენჯიხის მუნიცპალიტეტის სამი სოფელი- ჭალა, ფახულანი და მუჟავა, სადაც 3600 ადამიანი ცხოვრობს, ენგურს გაღმა მდებარეობს და უშუალოდ ეკვრის აფხაზეთს.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დაინტერესებულმა პირებმა უკვე მოახერხეს იუსტიციის სამინისტროში კოდის შეცვლა და პატარა დასახლება ხუბერისა და ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ე.წ. ტყაბედინერის ეკლესიის მითვისება. საინტერესო ის არის, რომ ეს ხდება უცერემონიოდ, დღისით, მზისით, დაუფარავად.

ცნობილი ფაქტია, რომ ხუბერი სოფელ ხუდონის განუყოფელი ნაწილი იყო და იქ არსებული რვაწლიანი სკოლა, ბუნებრივია წალენჯიხის რაიაღმასკომის განათლების განყოფილებას ექვემდებარებოდა. სკოლის დირექტორი იყო უძვირფასესი ქალბატონი სულმნათი ნუცა ქარდავა.

ხუდონის ტერიტორიაზე არსებულ რვაწლიან და დაწყებით სკოლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ, წალენჯიხის რაიონში და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი ადამიანები: პისტი ფიფია, იონა შენგელია, პოლიევქტ მანია, აკაკი გუჩუა, ანდრო, გრიშა და ღუღუნი ჭანტურიები, მირიან მოლაშხია, ბიქტორ ზარქუა, პარმენ ბელქანია, ნიკოლოზ ფონიავა და სხვები და სხვები.

ხუდონის სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და იქ არსებული ლ.ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ისაკ ქარდავა, სტეფანე ქარდავა, ვასილ მანია, რომანოზ უბილავა, მიშა ციმინტია, ანდრო ჭანტურია, დათიკო ჭანტურია და სხვები.

რაც შეეხება ტყაბედინერს, (ქართულად „ტყე ბედნიერი“) ის წყალსაცავის ქვეშ მოექცა და დაახლოებით 150 მ. სიმაღლეზე წყალმა დაფარა. 2018 წლის გაზაფხულზე, როცა ენგურჰესზე, რემონტის სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, წყალსაცავი დაიწრიტა, უფლის ნებით, თურმე მკვიდრად ნაგები შენობა არ დარღვეულა, მყარად იდგა, ოღონდ შლამით და ტალახით დაფარული, როცა ის გამოჩნდა, იქ შეკრებილ ადამიანებს ემოციები მოეძალათ და ხალხი ტიროდა. ტყაბედინერის ეკლესია, სადაც წლების მანძილზე ღვთისმსახურებას ეწეოდნენ სასულიერო პირები ჭანტურიები, ბევრი რამის მოწმე იყო.

ერთი აუცილებელი ხაზგასმა: გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ენგურჰესის და სოფელ ხუდონის საკითხთან დაკავშირებით უბინძურესი პროცესი, შესაძლოა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ იმართებოდეს და გათვლილი იყოს საქართველოში კიდევ ერთი, ამჯერად უკვე დამანგრეველი კონფლიქტის გაღვივებაზე.

უკანასკნელ ხანს მესტიელებმა ხუდონის ტერიტორიაზე სახლების მშენებლობა დაიწყეს და ვაკე ადგილებში მიწის ნაკვეთები შემოაკავეს და ამუშავებენ კიდევაც მას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვართ ხუდონის ტერიტორიაზე სვანების ჩასახლების წინააღმდეგი, იმ აუცილებელი პირობის ჩათვლით, რომ ისინი უნდა იყვნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოქალაქენი; მათ ეს არ უნდათ, მათ სურთ ამ ტერიტორიის მითვისება და მესტიის მუნიციპალიტეტისთვის მიერთება.

არსებობს მიღებული და საყოველთაოდ აღიარებული წესი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტებს შორის საზღვრების შეცვლა ხდება შესაბამისი საკრებულოების თანხმობით და მთავრობის დადგენილებით. ამ შემთხვევაში ეს წესი თავხედურად არის უგულვებელყოფილი.

ისმება კითხვა – რატომ? ვინ უმაგრებს ზურგს ამ ავანტურისტებს.

სოფელ ხუდონის ცენტრში ე.წ. ხოკოს უბანში, იქ სადაც დაწყებითი სკოლისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა იდგა, აღმართულია შინმოუსვლელთა სტენდი. იმ სტენდზე წერია 67 შინმოუსვლელის გვარი და სახელი. საგულისხმოა, რომ არცერთი მათგანი სვანი არ არის და ეს იმიტომ კი არა, რომ სვანები თავს არიდებდნენ ომში წასვლას.არა, უბრალოდ ამ სოფელში არასდროს უცხოვრია სვან კაცს, არასდროს!!!

ხუდონის მოსახლეობა, რომელსაც უფლის ნებით ზემოთ აღწერილი უბედურება დაატყდა თავს, იმ ადგილებში, რომელიც დატბორვას გადაურჩა და შეიძლება ცხოვრება უბრუნდება თავის ნამოსახლარ ადგილებს. უფროსი თაობა, ცხადია, ცოცხალი აღარ არის, მაგრამ არის შთამომავლობა, არის მემკვიდრეობა და არის ის საოცარი გრძნობა, რომელსაც მიწის ყივილი ქვია.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ხუდონიდან ძალით აყრილი და აფხაზეთში ჩასახლებული, იქიდან გამოძევებული და ლტოლვილად ქცეული გაუბედურებული ადამიანი უბრუნდება თავის მამა-პაპის ნასახლარს და აქ მას დახვდება სხვა, რომელიც კანონის ენით დაუწყებს იმის მტკიცებას, რომ ეს მიწა მისია!!!


ხუდონი

უკანასკნელ ხანს, ამ საქმის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა მთლიანად და სავსებით დადასტურეს ჩვენი ეჭვების მართულობა. ასე, მაგალითად, ახლახან ამ კუთხის შვილმა მოქალაქე თ. ქარდავამ, რომელიც ორმოციანი წლების ბოლოს სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში იყო ჩასახლებული და აფხაზეთის ომის შემდეგ იქიდან გამოძევებული უკვე სამეგრელოში აღმოჩნდა ლტოლვილის სტატუსით, ქუთაისის არქივიდან მოიტანა ცნობა იმის შესახებ, რომ იგი 1949 წლებშიიყო წალენჯიხის რაიონის სოფელ ხუდონის მცხოვრები და ცხოვრობდა ამ სოფლის ე.წ. ტყაბედინერის უბანში, თ.ქარდავამ როცა საერთო წესის მიხედვით საბუთებით ხელში მიაკითხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს და ითხოვა მიწის დარეგისტრირება მას ზრდილობიანად უპასუხეს, რომ ეს ტერიტორია ანუ მისი ნამოსახლარი კარგა ხანია მესტიის რაიონს ეკუთვნის!!!

სინდისისა და მორალის ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული ასეთი თავხედური მაგალითი: 2018 წელს გამომცემლობა „კლიო“-მ გამოსცა მოსწავლის წიგნი, რომელსაც ქვია „ჩვენი საქართველო“. წიგნის ავტორები არიან როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი თანდილაშვილი.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: ამ წიგნის 46-ე გვერდზე შავით თეთრზე წერია, რომ თურმე 'საქართველოში ყველაზე დიდი ჰესი სწორედ სვანეთის ტერიტორიაზე, მდინარე ენგურზე მდებარეობს“.

თურმე ნუ იტყვით, რახან ენგური სვანეთის მთებში, თეთნულდის მიდამოებში იღებს სათავეს და წყლის პირველწყარო სვანეთშია, ენგურჰესიც მისი ყოფილა.

ამ აბსურდული ლოგიკის მიხედვით სვანეთიდან მოყოლებული ვიდრე შავ ზღვამდე, ენგურის ხეობაში არსებული ხიდები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, ქვის სამტეხლოები, სხვადასხვა პროფილის პატარ-პატარა ობიექტები, ქვიშისა და შლამის კარიერები და ა.შ. მესტიის მუნიცპალიტეტის ყოფილა, თუმცა ისინი წალენჯიხის, გალისა და ზუგდიდის რაიონის კუთვნილებას წარმოადგენენ.

თურმე „ზაჰესი“ თურქეთის ყოფილა, რამეთუ მტკვარი სათავეს იღებს თურქეთში; მეტიც, პროვინციული სეპარატიზმით შეპყრობილ ერთ მანიაკს გაუჩნდა ანაკლიის პორტიდან წილის მიღების იდიოტური იდეა, უკეთუ ეს პორტი აშენდება. არგუმენტს თუ იკითხავთ ასეთია: შავი ზღვა, სადაც ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, ხომ სვანეთიდან მომდინარე ენგურის წყლით ივსება!!!

დაგვეთანხმეთ ბატონო ბიძინა: საქართველოში მომრავლდნენ ავანტურისტები, ქვეყნის ამრევები, რომლებიც იბრძვიან არეულობის შემოტანის, რეგიონებს შორის დაპისპირების გაღვივების და ფეთქებადსაშიში კერების წარმოქმნისათვის.

არაფერი გვაქვს სვანური კოშკის საწინააღმდეგო. პირიქით, ზუგდიდშიც ხომ დგას ასეთი კოშკი. ამბობენ, რომ კოშკი ააშენეს ქვემო ქართლში, სადაც სვანები კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი. ვგონებ, უკანასკნელ პერიოდში სვანური კოშკი აშენდა აფხაზეთშიც.

თუ ვინმე გადაწყვეტს წალენჯიხის ტერიტორიაზე სვანური კოშკის აშენებას, არავინ წავა ამის წინააღმდეგი, ოღონდ ეს საკითხი საერთო წესის მიხედვით შეთანხმებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და საკითხთან დაკავშირებულ სამსახურებთან, აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარ გადაწყვეტილებას ხალხი ყველა სოფელში გაგებით შეხვდება, მაგრამ ამჯერად საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როცა საშუალება მიზანს არ ამართლებს.

გამდიდრების, პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების, კარიერისტული ქვენაგრძნობით შეპყრობილ ადამიანებს წესრიგისაკენ უნდა მოვუწოდოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარ კომპრომისს, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, აუცილებლად მოჰყვება გართულება, რომლის მასშტაბების პროგნოზირება ადვილი არ არის.

და ბოლოს: ისტორიულად სვანეთ-სამეგრელოს საზღვარი იყო სოფელი თოთანა. ეს სადისკუსიო საკითხი არ არის. ოფიციალურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში, ყველა წიგნში, ყველა ცნობარში, ყველა რუქაზე ასეა დაფიქსირებული. ასე უწერია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, სულმნათ ალექსანდრე ჩარკვიანსაც, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, წლების მანძილზე მესტიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო. ვის, თუ არა მას უნდა სცოდნოდა მესტიის რაიონის საზღვრები. (იხილეთ ალ. ჩარკვიანის „სვანეთი“, თბილისი გამომცემლობა „მეცნიერება“ – 1967წ. გვ. 27)

ჩვენ ამ ქვეყნის, სრულიად საქართველოს ერთგული შვილები ვართ. არავითარი სხვა განზრახვა, გარდა საქართველოს გამთლიანებისა და მისადმი ერთგულებისა, არ გვქონია, არა გვაქვს და არც არასდროს გვექნება.

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელლისუფლება წალენჯიხას შეხედავს, როგორც გასახურდავებელ მონეტას და ხელყოფს ლეო ქიაჩელის, ტერენტი გრანელის, კალისტრატე სალიას, ტარასკვარაცხელიას, ეგნატე ფიფიას, ნიკოლოზ შენგელაიას, შოთა მესხიას, გური თვალთვაძის და სხვა სახელოვან შვილთა მშობელ მხარეს.

ვინც ამ ძალის უკან დგას, ნებსით თუ უნებლიედ ხელს უწყობს მეგრელებსა და სვანებს შორის დაპირისპირებას, ეს კი ვის ინტერესშიცაა, რთული გასარკვევი არ გახლავთ.

პატივისცემით:
**ნუგზარ ზარქუა;**
**ვახტანგ კალანდია;**
**მერაბ კაკაჩია;**
**ჯულიეტა როგავა;**
**დემურ უბილავა;**
**იგორ ცხადაია;**
**ვალერი ჭანტურია;**
**მურად ჭანტურია;**
**გია ხარჩილავა.**

# ლენინიდან სააკაშვილამდე ბოკერიას გავლით

## სააკაშვილი — სიმაღლეში გაზრდილი ლენინი







**ვახტანგ ხარჩილავა:**

როცა არ იცი, საიდან მოდიხარ, არ იცი, საით უნდა წახვიდე. მომავლის გზას წარსულიდან მომავალი გზა განსაზღვრავს, მაგრამ როცა არ გახსოვს ის გზა, რომლითაც მოაღწიე აქამდე, სადაც ახლა დგახარ, არ იცი, როგორ და რა მიმართულებით უნდა გააგრძელო წინ სვლა, სვლა წინისკენ.

მომავალი სინამდვილეში წარსულის განმეორებაა ახალი ვარიაციებით, რომელიც მთლად წარსულის ზუსტი ასლი არაა,



მაგრამ მაინც მისი მიბაძვაა, მისი ხელახალი გაცოცხლების მცდელობაა და როცა ეს პირველწყარო არ გახსოვს, როცა დედნის ტექსტი გონებიდან ამოგივარდა, ახალ ტექსტს ვერ შექმნი.

კაცობრიობა საკუთარი ფესვებიდან მოწყვეტის და დიდი მიგრაციის ჟინმა შეიპყრო. კაცობრიობა უკიდეგანო, უზარმაზარ ბოშათა ბანაკს დაემსგავსა, რომელიც ერთ ადგილას ვერ ჩერდება.

რატომ დაკარგა სამშობლომ, ანუ იმ სივრცემ, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, მიზიდულობის ძალა? რატომ დაკარგა მან ეპიცენტრის ფუნქცია და რატომ განვიბნევით მისგან ასე იოლად და უმტკივნეულოდ?

ამ თემაზე, რომელსაც ამ წერილში ვსაუბრობ, ადრეც ბევრი რამ დამიწერია, მაგრამ ეს წერილი მაინც არ არის ერთხელ უკვე ნათქვამის გამეორება – ის უფრო ძველი თემის ახალი რაკურსით დანახვის მცდელობაა.

მილიონნახევარი ქართველია გასული საქართველოდან და, ვაღიაროთ, ამ მილიონნახევარი ადამიანიდან ყველა არ გაქცეულა აქიდან გაჭირვების და დუხჭირი ყოფის გამო — ზოგი საკუთარ თავს გაექცა.

სამშობლოს არ აღმოაჩნდა ის ძალა, რომელიც ამ ადამიანებს მისკენ გადასძალავდა და მისგან არ გაუშვებდა.

თანამედროვე ფილოსოფოსთა და მკვლევართა შეფასებით, თანამედროვე ადამიანი სულ უფრო და უფრო ეგოცენტრიკული არსება ხდება. ის თავს ვალდებულად არ თვლის, ანგარიში გაუწიოს სახელმწიფოს, სახელმწიფო ინტერესებს, სახელმწიფო ინსტიტუციებს. მისი აზრით, ის თვითონ არის სახელმწიფო, სახელმწიფო საკუთარი კანონებით და კონსტიტუციით.

რამ გამოიწვია ადამიანის ასეთი მეტამორფოზა? ის თვითონ გახდა ასეთი თუ მას „დაეხმარნენ“, რომ ასეთი გამხდარიყო?

რა თქმა უნდა, მას დაეხმარნენ, რომ ნელ-ნელა განძარცვულიყო წარსულის „მავნე“ მემკვიდრეობისგან და ახალ მოძღვრებას ზიარებოდა, რომელიც მას საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული



სტერეოტიპებისგან სრულ განთავისუფლებას პირდებოდა.

პირველი გრანდიოზული ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტი ამ მიმართულებით ეს იყო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში სატანათა შორის უპირველესი სატანის ვლადიმერ ულიანოვის ხელმძღვანელობით განხორციელდა და რომელსაც 20 მილიონი მართლმადიდებელი ქრისტიანის სიცოცხლე შეეწირა.

თვალთმაქცი, ფარისეველი, სიფილისტისგან ტვინშეჭმული პარანოიკი, რომელსაც ბავშვობაში მამათმავალი მამა აუპატიურებდა, აღმოჩნდა ის დრაკონი, რომელმაც ყველაზე და ყველაფერზე უსასტიკესად იძია შური და სისხლის ოკეანე დააყენა.

ლენინი, რომელმაც პროლეტარიატის ბელადად გამოაცხადა თავი სინამდვილეში პროლეტარიატის კი არა იმ ულტრალიბერალური იდეების მსახური და რეალობაში განმხორციელებლი იყო, რომელიც ადამიანის რეკონსტრუქციას და ახალი ადამიანის შექმნას ისახავდა მიზნად.

ყველაფერი, რაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე მომხდარა, წარსულის მავნე გადმონაშთად გამოცხადდა, რომელიც რევოლუციის პირმშოს – ახალ ადამიანს, ხელს უშლიდა ახალი, დიადი მიზნების და ამოცანების განხორციელებაში.

ცივილიზაციათა მიერ დატოვებული უძვირფასესი და უმშვენიერესი მემკვიდრეობა. კულტურული, სულიერი თუ მატერიალური, ახალი ადამიანის ფორმაციისთვის ხელისშემშლელ მემკვიდრეობად შეირაცხა და მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა წმინდაწმინდა და სავალდებულო ნორმად გამოცხადდა.

დაიწყო გამანადგურებელი ომი ეკლესიის წინააღმდეგ, რელიგია ხალხის ოპიუმად გამოცხადდა, ღმერთის არსებობის აღიარება ჩამორჩენილობის, სიბნელის სინონიმად იქცა.

თუ არ არსებობს ღმერთი, მაშინ არც ის ადამიანი არსებობს, რომელიც ღმერთმა შექმნა სახედ თვისად.

30-იან წლებში მიწასთან გაასწორეს მსოფლიოში ცნობილი და დიდი ავტორიტეტის მქონე ის სამეცნიერო სკოლები, რომლებიც გენეტიკის საკითხებს იკვლევდა.

გენეტიკა, როგორც მეცნიერება, კატეგორიულად მიუღებელი იყო იმ ახალი იდეოლოგიური კონცეფციისთვის, რომლის მიხედვითაც ადამიანი უფესვო, უწარსულო ბიოლოგიური მასალაა, საიდანაც შეიძლება გამოძერწო ნებისმიერი რამ — ვთქვათ, კომუნიზმის მშენებელი რობოტი.

რა აზრი აქვს ამ ამბების გახსენებას, რომლებიც დროის მდინარებამ, თითქოსდა უკვალოდ ჩარეცხა? ვის ჭირდება ამ ტრაგიკულ ამბებზე ხელახლა საუბარი, ეს ყველაფერი ხომ დამთავრდა, დასრულდა.

საქმე ის არის, რომ, სინამდვილეში, არაფერიც არ დამთავრებულა. უფრო მეტიც — 21-ე საუკუნის დასაწყისში, ოქტომბრის რევოლუციიდან 85 წლის შემდეგ საქართველოში შესაძლებელი გახდა ხელისუფლებაში კვლავ „ნორჩი ლენინელები“ დაბრუნებულიყვნენ და ქვეყანა ცხრა წლის განმავლობაში ემართათ, თუმცა რატომ მხოლოდ ცხრა წლის განმავლობაში? ისინი არსად არ წასულან და დღემდე წარმართავენ პოლიტიკური დღის წესრიგს.

**დიახ, 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში კვლავ დაბრუნდა ლენინი თავისი ნორჩი ლენინელებით, თავისი იდეოლოგიით, თავისი მკვლელთა რაზმებით, სადისტებით, მანიაკებით, დაბრუნდა, აქ არის და, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს არ აპირებს წასვლას.**

ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ უცნაურ და დაუჯერებლ რაღაცას ვამბობ. მართლაცდა, სად ბოლშევიზმი და სად ნაცმოძრაობა, სად პროლეტარიატის ბელადი ლენინი და სად პროდასავლელი მიხეილ სააკაშვილი. რა მსგავსება და რა კავშირი შეიძლება მათ შორის არსებობდეს?

მსგავსება და ირიბი კავშირები კი არა მათ ქმედებებს შორის მცირეოდენი განსხვავებაც კი არ არის.

სააკაშვილი მკვდრეთით აღმსდგარი და რეინკარნაციის შემდეგ სიმაღლეში გაზრდილი ლენინია.

სააკაშვილს ახლა სტალინობა მოუნდა და თავისი ნაავკაცარი მთლიანად ბოკერია— „ტროცკის“ სურს გადააბრალოს და ისევე გაანადგუროს იგი, როგორც სტალინმა გააცამტვერა ეშმაკთან წილნაყარი ლეიბა ბრონშტეინი.

„ბოკერიამ და ბოკერიასნაირმა ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი დისტანცირება მომხდარიყო ტრადიციული ქართული, ქრისტიანული ფასეულობებისგან. მაგალითად, მე ჩემი შეხედულებებით და ჩემი მრწამსით ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი. ვინც რა უნდა თქვას, ასეა, ვატარებ ჯვარს ყველაფერი, რასაც გიგა ბოკერია აკეთებს, არის ქართული ტრადიციების წინააღმდეგ და ანტიქრისტიანული. ყოველთვის, მთელი ეს წლები აკეთებდა ამას, განსაკუთრებულად ცინიკური დამოკიდებულებით ქართული ტრადიციების, ქართული ფასეულობებით მიმართ, რომელიც ჩემთვის არის უძვირფასესი და რომელიც ქართველი ხალხისთვის არის ყოველდღიური ცხოვრებაა“.

**რასაც სააკაშვილი ლაპარაკობს ბოკერიას მისამართით, ცხადია, ყვლაფერი მართალია, ისევე როგორც თავიდან ბოლომდე ტყუილია, რასაც სააკაშვილი საკუთარ თავთან მიმართებაში ამბობს.**

**სააკაშვილს ჯვარიც ფეხებზე ჰკიდია, ქრისტიანობაც, ტრადიციებიც, ქართველი ხალხიც და ეროვნული ფასეულობებიც.**

ყველაფერი, რაც იმ ავბედითი ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა, ხდებოდა სააკაშვილის ინიცი-








ატივით, მასთან შეთანხმებით, მისი ნებართვით.

თუ ლენინმა პირველი დეკრეტი სექსის შესახებ გამოსცა და საყოველთაო სექსუალური „ამნისტია" გამოაცხადა, ამანაც, ამ „მართლმადიდებელმა ქრისტიანმა" სააკაშვილმაც იგივე გააკეთა და ბავშვებს ბუჩქებისკენ მიუთითა.

„ნაციონალური მოძრაობის" ლიდერშიფი, განთქმული თავისი ხლისტური თავაშვებულობით, თვითონ იძლეოდა სექსუალური აღვირახსნილობის მაგალითებს და ის ამითაც ძალიან ჰგავდა თავის სულიერ წინაპრებს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან.

ინტელეგენციას „გავნოს" უწოდებდა ლენინი, სააკაშვილს მთლად გავნო არ უწოდებია, მაგრამ ინტელეგენცია ამანაც ჩარეცხილებად და ჩასარეცხებად გამოაცხადა და „გავნოსავით" ჩარეცხა კიდევაც.

სააკაშვილს არ მოსწონდა ქართველები, ლენინივით ისიც ახალი ადამიანის შექმნაზე ოცნებობდა და ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამდა.

ახალი ქართველის შექმნის მიზნით, მთავარი დარტყმა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ განათლების სისტემას მიაყენა და იმდენად დაზიანა და შეარყია იგი, რომ ამ სისტემის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანა დღემდე ვერ ხერხდება.

სააკაშვილმა ლენინსაც კი გადააჭარბა და მისი პოლიტიკური დობილის და თანამოაზრის ნინო ბურჯანაძის დახმარებით, რომელიც იმ დროს პარლამენტის თავმჯდომარე ბრძანდებოდა, ქართველებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიდან მამის სახელი და ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა ამოუშალა, რითაც ქართველი ერი, ფაქტობრივად, ამოწერეს მსოფლიოს ხალხთა სიიდან.

ქართველი ერი დღეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, ოფიციალურად, არ არსებობს.

მსგავსი რამ არ მომხდარა არც ერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში. ჩვენ აქაც ყველას დავასწარით, ისე, როგორც საბჭოთა იმპერიიდან ყველას დავასწარით ლენინის ძეგლის დადგმა.

რომ არა ქართველი ხალხის და ქართული ეკლესიის თავგანწირული წინააღმდეგობა, საქართველო იქნებოდა პირველი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების საქმეშიც.

სხვათა შორის, შეიძლება ბევრმა არ იცის და ბარემ აქვე ვიტყვი:

იმ დროისთვის ყველაზე „პროგრესული" კანონები სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში, სწორედ ლენინის და მისი თანამოაზრეების მიერ იქნა მიღებული — ლეგალიზებული გახდა ჰომოსექსუალთა ქორწილი, ტრანსგენდერებს მისცეს ჯარში სამსახურის უფლება, ღიად ჰომოსექსუალი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციული კანონები და უბრალო ადმინისტრაციულ პროცედურად იქცა ოფიციალურ საბუთებში სქესის შეცვლა.

დარწმუნებული ვარ, ის რაც ახლა დავწერე, ქართველ მკითხველთა დიდმა ნაწილმა, პირველად გაიგონა.

რატომ მოხდა ასე?

ცხადია, იმ 70 წლის განმავლობაში, რაც საბჭოთა კავშირში ვიცხოვრეთ, ამ თემებზე ვერავინ ილაპარაკებდა ხმამაღლა და ღიად, მაგრამ ჩვენ ამ 70 წლის გარდა, კიდევ 30 წელი ხომ ვიცხოვრეთ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში? ამ დამოუკიდებელ სუვერენულ საქართველოში მაინც ვინ აგვიკრძალა ამაზე ლაპარაკი.

ეტყობა, გვიკრძალავდნენ და გვიკრძალავენ, რადგან ამ თემებზე ღიად საუბარი რომ დავიწყოთ, მაშინ ხომ გამჟღავნდება დიდი საიდუმლო — ის, რასაც პროდასავლურ, პროგრესულ, ჰუმანურ იდეებად გვასაღებენ ვიღაც-ვიღაცები და რისი გაპროტესტებაც ჩამორჩენილობად, ველურობად და ბარბაროსობად გვეთვლება, სულაც არ არის თურმე მხოლოდ პროდასავლური ღირებულებები. უფრო მეტიც — ეს „ღირებულებები" თურმე ჩვენს ძია



ლენინს ასი წლის წინათ რეალობად უქცევია და გორელ ჯუღაშვილს რომ არ შეეშალა ხელი, ჩვენ ახლა „სამოთხეში" ვიცხოვრებდით — ცოლები საერთო, ქმრები საერთო, შვილებიც საერთო, „სამოთხე" კაცზე დაქორწინებული კაცებით, ქალზე ჯვარდაწერილი ქალებით, საყოველთაო-სახალხო გარყვნილებით, სოდომით და გომორით. სამოთხე კი არა ნამდვილი ჯოჯოხეთია, დედამიწაზე ჩამოტანილი ჯოჯოხეთი.

ამ თემებზე რომ ვილაპარაკოთ, დიდი საიდუმლო გამჟღავნდებამეთქი, ვთქვი ზემოთ და, აჰა, გამჟღავნდა კიდევაც.

ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, გაგრძელებაა იმისა, რაც გუშინ, გუშინწინ, ერთი საუკუნის, საუკუნენახევრის წინათ ხდებოდა. ეს ერთი იდეოლოგიაა, ანტიადამიანური, ანტიჰუმანური, ანტიკაცობრიული იდეოლოგია, **სატანისტური იდეოლოგია, რომელსაც სხვადასხვა დროსა და ეპოქაში სხვადასხვა სახელი ერქვა, მაგრამ ძირითა და საწყისით, ყველაფერი ეს ერთია — ლიბერალიზმი, ლენინიზმი, სიონიზმი, მასონიზმი, გლობალიზმი, კომუნიზმი — ეს ერთი ჯანდაბა და დოზანაა**, ერთი საერთო ფესვიდან ამოზრდილი ბოროტებაა, ლიუცეფერული წარმოშობის მეტასტაზებია, რომლებიც ნელ-ნელა ედება კაცობრიობის სხეულს.

გასული საუკუნის 20-იან წლებში მართლმადიდებლურ რუსეთში განხორციელებული სატანისტური ექსპერიმენტი დღეს მსოფლიოს უამრავ სახელმწიფოში, მათ შორის, ევროპის კონტინენტზე სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება და იქიდან იმპორტის სახით, უცხოური პროდუქციის იარლიყით შემოდის საქართველოში, ხოლო რასაც უცხოური ჰქვია, ქართველთათვის ყოველთვის საუცხოოსთან იყო გაიგივებული, ეს „უცხოური" თუნდაც მიხაკ-დარიჩინით შეკმაზული ფეკალიები იყოს.

**„ნორჩი ლენინელების" ქართულ პოლიტიკაში შემოთესვლება, უპირველეს ყოვლისა, ედუარდ შევარდნაძის სინდისზეა, რაც საქართველოს წინაშე ჩადენილ სხვა უმძიმეს ბოროტებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბოროტებად შეიძლება ჩაეთვალოს მას.**

შევარდნაძემ მოურჩენელი ჭირი შეჰყარა ქვეყანას, რომლისგან განკურება, აგერ უკვე 20 წელიწადია, ვერა და ვერ ხერხდება.

2012 წლის ოქტომბერში თითქოსდა შევძელით ამ ჭირის დამარცხება, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ამ ჭირს ისეთი გავლენიანი პატრონები და მფარველები ჰყავ-



და მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომ მისი ბოლომდე აღმოფხვრა და ამოშანთვა ჩვენს ძალებს აღმატებოდა თურმე.

„ნაცმოძრაობა" ჰქვია ქართულად ამ ჭირს და უბედურებას, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართული წარმოშობის ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია. ის იმ უზარმაზარი იდეოლოგიური ქსელის ნაწილია, რომლითაც დაქსელილია მთელი დედამიწა — ამერიკა, აზია, ევროპა, აფრიკა.

**ჩვენ „ნაცმოძრაობა" ვერ „გავიტანეთ" პოლიტიკური ასპარეზიდან, მაგრამ ვერც რუსებმა გაიტანეს ლენინი მავზოლეუმიდან და მისი ფსევდონიმი „პროლეტარიატის ბელადი", იმ სახელით ვერ შეუცვალეს, რაც სინამდვილეში იყო — ეშმაკის ელჩი, ეშმაკის მოციქული დედამიწაზე.**

ჩვენ ვერ დავმარხეთ „ნაცმოძრაობა", მაგრამ რუსებმაც ვერ გაბედეს ლენინის მიწისთვის მიბარება და და დაუმარხავი ეშმაკი დღემდე განაგრძობს ხეტიალს მთელ მსოფლიოზე.

ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ ამ წერილში ნაცმოძრაობაზე, მაგრამ ყველა ეგრეთ წოდებული პროდასავლური პარტიები და მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები იგივე „ნაცმოძრაობაა", უფრო ზუსტად, ისინიც იმ საერთო ცენტრიდან იმართებიან, საიდანაც „ნაცმოძრაობა".

**სააკაშვილი თუ უსუფაშვილი, ბოკერია თუ ძმები ბერძენიშვილები, სამადაშვილი თუ ხოშტარია, ბოკუჩავა თუ გიგაური, ვაშაძე თუ ბაქრაძე, მაჭუტაძე თუ ღლონტი, ჯაფარიძე თუ გვარამია, ხაზარაძე თუ ბარამიძე, ამ სიის უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს სხვადასხვა პარტიებს წარმოადგენენ, სინამდვილეში ერთი საერთაშორისო პარტიის, პოლიტიკური ლგბტ პარტიის წარმომადგენლები არიან.**

შემთხვევითი ამბავი ხომ არ გგონიათ, თქვენ, აგერ, სულ ახლახან ლგბტ თემმა ე.წ. პროდასავლურ პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში კინაღამ რევოლუცია რომ მოახდინეს.

**შემთხვევითი ამბავი ხომ არ გგონიათ თქვენ**, მამუკა ხაზარაძე უბორნიის პოეტებს და გარყვნილების, სექსუალური აღვირახსნილობის მქადაგებელ „მწერლებს" რომ აფინანსებს.

**შემთხვევითი ამბავი ხომ არ გგონიათ თქვენ**, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ არჩეული სხვადასხვა მოწვევის პარლა-



მენტის თავმჯდომარეები ყველა ერთ ხაზს რომ მისდევდნენ და ყველა ერთ „ლგბტ-ურ" ენაზე რომ ჟღურტულებდნენ.

**ჟვანია** იყო და მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელიო, განაცხადა.

**ბურჯანაძემ** „ევროპელ" ქართველებს მამის სახელი და ეროვნება რაში ჭირდებათო, ორივე ჩუმად და მალულად ამოგვიფხიკა დოკუმენტებიდან.

**უსუფაშვილმა** სამშობლო და პატრიოტიზმი არ ვიცი მე. მთავარია, შვილები თავისუფალ ადამიანებად გაიზარდონ, მერე კი გინდ სამშობლო შეიყვარონ, გინდ — ქალიო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული პოლიტიკა გასული საუკუნის 20-იან წლებში ლენინიზმის გაფურჩქვნის ხანაში დაბრუნდა. სიმაღლეში გაზრდილი ლენინიც აქ არის, ლეიბა ბრონშტეინიც (ტროცკი) აქ არის, ზინოვიევიც აქ არის, კამენევიც აქ არის, ძერჟინსკიც აქ არის, ყველანი აქ არიან, ერთადერთი სტალინი არ ჩანს არსად, რომ ეს „შანტრაპა" ყვ...ით დაკიდოს და ქვეყანა ამ აშმორებული ნაგვისგან გაწმინდოს.



# ციკლიდან – კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი



საქართველოდან უკრაინაში გადაპორტირებული ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად რომ მოგვევლინა და თავისი ერთგული ხელქვეითების ახლა უკვე უკრაინაში დასაქმებას მიჰყო ხელი, რუსული მედია „ოპერატიულად“ გამოეხმაურა ამ ამბავს. სააკაშვილმა როდესაც „მრავალჭირგამოვლილი“ შს მინისტრის ექს-მოადგილე, საქართველოს კონტრდაზვერვაში ნამსახურები გიორგი, იგივე გია ლორთქიფანიძე ოდესის მილიციის შეფად გაამწესა, რუსულ პრესაში გამოქვეყნდა ჩეჩენი ჟურნალისტის ისლამ საიდაევის ინტერვიუ სათაურით, „სააკაშვილმა ოდესის პოლიციის უფროსად, შამილ ბასაევის მკვლელი დანიშნა“. ვფიქრობთ, ეს ეპითეტი ლორთქიფანიძისთვის უფრო რეკლამა იყო, როგორც ქართული, ისე რუსული საზოგადოების თვალში. საერთაშორისო ტერორისტად შერაცხული ბასაევი, რომელსაც დიდი ცოდვა მიუძღოდა ორივე მხარის წინაშე, თუკი გაანადგურა ამ „პატიოსანმა“ ოფიცერმა, მის მიმართ დასამდური რაღა უნდა გვქონდესო. ვისი დამსახურებაა ბასაევის ლიკვიდაცია, რუსული სპეცსამსახურის თუ ლორთქიფანიძის, საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან დამგეგმავ-შემსრულებლებთან დაკავშირებით, განსხვავებული ვერსიები არსებობს, თუმცა აქ უფრო სხვა რამ არის საინტერესო. იმ „ბოევიკებს“, მათ შორის, ავადსახსენებელ ბასაევს, რომლებიც აფხაზეთის ომის დროს ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ და ენით აუწერელი საშინელებები აქვთ ჩადენილი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართაც, როგორ მოუწყვეს ქართველებმა სასათბურე პირობები საქართველოში. აი, რას წერს თავად რუსული მედია, ბასაევის „საქმენი-საგმირონის“ შესახებ აფხაზეთის ომში. აფხაზეთის ომამდე თავისი რაზმით ყარაბაღში აზერბაიჯანელების მხარეს იბრძოდა, 1992 წლის ივლისში, ერთ-ერთი სოფლის გათავისუფლების დროს, როცა მისი რაზმის ბევრი წევრი დახოცეს, 120 კი ტყვედ ჩაუვარდა სომხებს, ბასაევმა იქიდან მოკურცხლა და ყარაბაღში აღარ დაბრუნებულა. 1992 წლის აგვისტოში, ბასაევი ჩეჩენ მოხალისეებთან ერთად აფხაზეთში წავიდა ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოფიციალურად, ჩრდილო კავკასიელი მოხალისეების რაზმი, საბრძლო მოქმედებებში მონაწილეობას ღებულობდა, როგორც კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებული დანაყოფი. ბასაევმა ქართველებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა და გაგრის ფრონტის მეთაურად დანიშნეს, პარალელურად კონფედერატების კორპუსის მეთაური, აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე და აფხაზეთის ე.წ. მრჩეველიც ბრძანებულა.





ბასაევის რაზმი, გაგრაზე იერიშის დროს აფხაზი მეომრების ავანგარდში იყო, მას კონფედერატების პოდპოლკოვნიკის წოდებაც მიანიჭეს, ხოლო ე.წ. პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ, „აფხაზეთის გმირის“ მედალიც დაჰკიდა. გენადი ტროშევმა თავის წიგნში „ჩემი ომი. სანგრების გენერლის ჩეჩნური დღიური“, ბასაევის „მოღვაწეობა“ გაგრის შემოგარენსა და დაბა ლესელიძეში ასე აღწერა, „ბასაევის „იანიჩრები“, არადა ისინი ხუთი ათასამდე იყვნენ, ომის დროს უაზრო, უგუნური სისტიკით გამოირჩეოდნენ. 1992 წლის შემოდგომაზე, გაგრის შემოგარენსა და ლესელიძეში დევნილების გასანადგურებელ სადამსჯელო ოპერაციებს, პირადად „სარდალი“ ბასაევი ხელმძღვანელობდა. რამდენიმე ათასი ქართველი დახვრიტეს, ასობით სომხური, რუსული და ბერძნული ოჯახიცაა გაჟლეტილი. ამ სისხლიან ანგარიშსწორებას სასწაულად გადარჩენილ თვითმხილველთა გადმოცემით, ბანდიტები სიამოვნებით იღებდნენ ვიდეოკამერით, დამცირების, აბუჩად აგდებისა და გაუპატიურების სცენებს“. ჩეჩნეთის ომის დროს, დევნილი მშვიდობიანი მოსახლეობა რომ შევიფარეთ, ეს ადამიანური ვალია, მაგრამ „შევივრდომეთ“, ვკვებავდით და ვმკურნალობდით იმ ე.წ. მებრძოლებს, რომლებმაც სისხლის კალო დაატრიალეს მთლიანად აფხაზეთში. ქართული საზოგადოების გულუბრყვილო თუ განგებ მოარიფებულმა ნაწილმა, ჩრდილო კავკასიელ „ძმებს“ ეს უნებლიე შეცდომად ჩაუთვალა და „მესამე ძალა“ დაადანაშაულა. ამ „უნებლიედ შემცდარმა“ კონტიგენტმა მადლობა იმით გადაგვიხადა, რომ ვითომდა ოსი ხალხის „დარდით“ გული ეგლიჯებოდათ, 2008 წელსაც ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ამას გარდა, მარბიელებად შეესივნენ ლიახვის ხეობას და ლამის მთელ შიდა ქართლს, ძალადობდნენ, ყაჩაღობდნენ და მოროდიორობდნენ სხვა ჩრდილოკავკასიელ ბანდიტურ დაჯგუფებებთან ერთად, სანამ თავად რუსულმა სამხედრო შენაერთებმა არ აღკვეთეს მათი აღვირახსნილი თარეში.

იმ ამბების შესახებ, რაზეც ჩეჩენი ჟურნალისტი საიდაევი რუსულ პრესასთან ინტერვიუში საუბრობს, ქართულ საზოგადოება მეტნაკლებად საქმის კურსშია და ჩვენს გაზეთშიც არაერთხელ დაბეჭდილა, მაგრამ ეს მაინც არ იყო სრული ინფორმაცია. საინტერესოა, იმ ადამიანის მონათხრობის მოსმენა, რომელსაც, ფაქტობრივად, უშუალო შეხება ჰქონდა იმ პროცესებთან, რაც 90-იანი წლების ბოლოს და შემდეგ ვითარდებოდა კავკასიაში. საიდაევი წარსულში ჯოჰარ დუდაევისა და ასლან მასხადოვის მომხრე იყო, 1999 წლის მიწურულს იჩქერიის პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის დავალებით, საქართველოში ჩამოვიდა ჩეჩენი მებრძოლების საინფორმაციო ცენტრის მუშაობის უზრუნველსაყოფად და თითქმის ათი წელი დაჰყო. იგი მჭიდრო კავშირში ყოფილა ქართულ სპეცსამსახურებთან, აქედან გამომდინარე, მოწმე გამხდარა, როგორ მიდიოდა საქართველოს ტერიტორიიდან მუშაობა რუსეთის წინააღმდეგ. ნაციონალების ხელისუფლებასთან, კერძოდ, ძალოვან სტრუქტურებთან გადატანილი „პერიპეტიების“ შემდეგ, ჩეჩენი ჟურნალისტი სამშობლოში დაბრუნდა და ხსენებული ინტერვიუს დროს რესპუბლიკის მთავრობაში მუშაობდა. გია ლორთქიფანიძეს ბოლოს მაშინ შევხვდი, შს მინისტრის მოადგილის თანამდებობა რომ ეკავა, თუმცა მანამდეც ვიცნობდი, პანკისში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, მას კავშირები ჰქონდა ხეობაში მყოფ ჩეჩნურ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების როგორც მეთაურებთან, ისე რიგით მებრძოლებთანო. იმ პერიოდში ლორთქიფანიძე უშიშროების სამინისტროს წარმოადგენდა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ნაციონალებად სახელგადარქმეულმა ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა, შსს და უშიშროების სამინისტრო გააერთიანეს და შარანგია-ყარამანიშვილების „ფავორიტ“ ლორთქიფანიძეს შს მინისტრის მოადგილის სავარძელი ერგო. არადა ეს „დემოკრატი-რეფორმატორები“ იყვნენ უნისონში რომ წიოკობდნენ ე.წ. უფლებედამცველებთან, შსს მონსტრი უწყებაა და უნდა დაიშალოს რამდენიმე სტრუქტურადო. საიდაევის განცხადებით, გია ლორთქიფანიძე არასდროს ყოფილა რასაც ჰქვია, პოლიციელი სრული გაგებით, მრავალი წელი, მათ შორის, შევარდნაძის მმართველობის დროსაც უშიშროების ხაზით მუშაობდა, რევოლუციამდე ანტიტერორისტული ცენტრის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იყო, მისი ძმა დავითი კი ახმეტის უშიშროების სამსახურის უფროსი გახლდათ. ეს რაიონი, რომლის შემადგენლობაშიცაა ჩეჩენ-ქისტებით დასახლებული პანკისის ხეობა, ჩეჩნეთს ესაზღვრება. საიდაევი ღიად აცხადებს, რომ 90-იან წლებში, ჩეჩნეთის ომის დროს, პანკისის ხეობაში გადმოდიოდნენ ჩეჩნური საბრძოლო დანაყოფები. ძმები ლორთქიფანიძეები ახმეტელები არიან, აქაურებს კი ტრადიციულად მჭიდრო ურთიერთობები აქვთ ქისტებთან, მათ შორის, ნათესაურიც. ნაციონალების მმართველობის დროს, დააწინაურეს დავით ლორთქიფანიძეც, ის კახეთის კუდ-ის უფროსის მოადგილე გახდა.

ის ფაქტი, რომ ძმები ლორთქიფანიძეები შევარდნაძის დროინდელი სხვა მრავალი ძალოვანის მსგავსად, სამსახურიდან არ გაყარეს და პირიქით, დააწინაურეს გაკვირვებას იწვევსო, წერს რუსი ჟურნალისტი. ქართული ძალოვანი სტრუქტურებიდან კარგად ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, რომ გია ლორთქიფანიძე შს მინისტრის მოადგილედ რომ დაენიშნათ, ვინმე რეზო შარანგია ლობირებდა, რომელსაც სააკაშვილის „ჯიბის ბიზნესმენს“ ეძახდნენ. შარანგიას ცოლისძმა გიორგი ყარამანიშვილი სააკაშვილთან ერთად სწავლობდა კიევშიო. რუსული საიტისთვის ამ წყაროს ისიც უცნობებია, რომ 90-იანი წლებში, გია ლორთქიფანიძე საქართველოს უშიშროების მაშინდელი მინისტრის იგორ გიორგაძის დაცვაში მუშაობდა. ჩეჩენი ჟურნალისტი საიდაევი ნაცრეჟიმის დროს გია ლორთქიფანიძის კარიერულ „აღმაფრენას“ ასე ხსნის, ლორთქიფანიძემ კარიერა პანკისის ხეობაში ადამიანების გატაცებისა და მძევლების გათავისუფლების ინსცენირებით, რასაც ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლები „ბოევიკებთან“ ერთად ატარებდნენ. პანკისის ხეობაში მყოფ ჩეჩენ საველე მეთაურებთან და რიგით მებრძოლებთან მჭიდრო კავშირი კი, როგორც აღვნიშნეთ, გია ლორთქიფანიძეს მმართველობის პერიოდიდან ჩამოუყალიბდა. იგი იმ მძევლების „გათავისუფლებით“ იყო დაკავებული, რომლებიც ვითომდა ჩეჩნებმა გაიტაცეს. სინამდვილეში, ეს უბრალოდ თამაში იყო, ერთნი იტაცებდნენ, მეორენი „ათავისუფლებდნენ“, რაც შეეხება ფულს, ორივე მხარე თავისას ღებულობდაო. საიდაევი ამ ერთობლივ „ღონისძიებებს“ გამიზნულ გატაცებებად აფასებს, ქართული სპეცსამსახურების წარმომადგენლები მოილაპარაკებდნენ ამა თუ იმ ჩეჩნურ დაჯგუფებასთან, ეს უკანასკნელნი იტაცებდნენ მძევლებს და პანკისის ხეობაში ჩაკეტავდნენ. ასე გაიტაცეს ორი ესპანელი ბიზნესმენი, ბრიტანელი ბანკირი პიტერ შოუ. რა თქმა უნდა ესპანეთისა და ბრიტანეთის ხელისუფლებები უკავშირდებოდნენ საქართველოს ხელისუფლებას, ითხოვდნენ დახმარებას. ამ ქვეყნებში გროვდებოდა გამოსასყიდი თანხა, ქართულ სპეცსამსახურებს გამოუყოფდნენ ხოლმე საშუალებებს სამუშაობის ჩასატარებლად, მძევლების მოსაძებნად და გასათავისუფლებლად. მძევლების „გათავისუფლების“ შემდეგ, სპეცსამსახურების თანამშრომლები ღებულობდნენ ოფიცრის წოდებებს, ორდენებს,



წახალისებას. გამოსასყიდ თანხას, „ბოევიკებთან“ ერთად ინაწილებდნენ. საერთაშორისო საზოგადოების თვალში კი, ისეთი სურათი იქმნებოდა, რომ პანკისის ხეობა იყო ტერორიზმის ანკლავი, რომელთანაც მთელ სამყაროს უნდა ებრძოლა, საბოლოო ჯამში, ხეობაში ჩატარდა ანტიტერორისტული ღონისძიება ამერიკული სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რამაც საშუალება გააჩინა, ამერიკელი ძალოვანების საქართველოში ყოფნა ლეგალური გამხდარიყო. მთელი ეს აფერა, ამისთვის იყო წამოწყებული, ამ დიდი თამაშის ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი გია ლორთქიფანიძე იყო, რომელიც თავის ძმასთან ერთად მონაწილეობდა მძევლებთან დაკავშირებულ ყველა ისტორიაშიო, აცხადებს ისლამ საიდაევი.

ერთი საინტერესო დეტალი, რესპოდენტი იხსენებს, „მიშისტების“ ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, დავით ლორთქიფანიძე თავის ყოფილ შეფთან, კახეთის კუდ-ის უფროს ზურაბ ლალიაშვილთან ერთად, გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. გამოძიების ვერსიით, სპეცსამსახურის კახური ლიდერ-შიფი ადგილობრივ მეწარმეს აშანტაჟებდა. ლალიაშვილი-ლორთქიფანიძის წყვილმა იგი აიძულა მათთვის, ანუ პირადი საჭიროებისთვის რამდენიმე ძვირადღირებული ავტომანქანა ეყიდა. სად არიან ბრალდებულები, გაასამართლეს და იქცნენ მსჯავრდებულებად, იცის ან ახსოვს ვინმეს? გია ლორთქი-

სამსახურის თანამშრომლები და სთხოვეს ბრიტანელი პიტერ შოუს გათავისუფლება, ზუსტად ვიცით რომელ სოფელში და ვისთან არიანო. უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებს თვითონ ეშინოდათ ოპერაციის ჩატარება, რადგან ინგლისელის გატაცება შსს-ს თანამშრომლების ორგანიზებული იყო ხელმძღვანელობასთან შეთანხმებითო. გელაევს უარი უთქვამს იმ მოტივით, რომ თითქოსდა არ უნდოდა აფერებში მონაწილეობა.

საიდაევის განცხადებით, ორი ოსი (ჩრდილო ოსეთის მცხოვრებნი) მძევლის გათავისუფლების ოპერაციაში თავად უშუალოდ მონაწილეობდა, ერთი მათგანი ბიზნესმენი იყო, ძალზე გავლენიანი პერსონა თავის ქვეყანაში. ისინი ერთმა „ცოფიანმა“ ბანდამ, ადგილობრივმა ჩეჩნებმა (ქისტებმა) გაიტაცეს. მე გელაევს გადავეცი ქართული მხარის თხოვნა, რომ დახმარებოდნენ მძევლების გათავისუფლებაში, რაც განახორციელა კიდეც გელაევის მოადგილემ, შარიათული გვარდიის ყოფილმა უფროსმა მეჯიდოვმა. მათ საიდაევისთვის უკითხავთ მძევლები თბილისისთვის გადაეცათ, თუ ადგილობრივი სპეცსამსახურებისთვის. ადგილობრივებს დიდი სურვილი ჰქონიათ მათთვის გადაეცათ, რადგან საქმეს ისე წარმოაჩენდნენ, რომ თითქოს თვითონ ჩაატარეს გათავისუფლების ოპერაცია, რისთვისაც დასაჩუქრდებოდნენ და დააწინაურებდნენ კიდეც. გია ლორთქიფანიძე დაჟინებით ითხოვდა მძევლები მისთვის გადაეცათ, ეს ავტორიტეტს ამიმაღლებსო, სამა-

ლელ ხალხთან ბინძური „ბიზნესი“ ჰქონდათ გაჩაღებული და არაერთხელ გახადეს იგივე პანკისის ხეობა რუსული ბომბდამშენების სამიზნე.

ყველა უცხოელი მძევლის გამოსახსნელად იხდიდნენ თუ არა ფულს, საიდაევი დაზუსტებით ვერაფერს ამბობს, ესპანელ ბიზნესმენების გათავისუფლებაში რომ გადაიხადეს დაზუსტებით ვიცი, რაც ქართველმა ძალოვანებმა და „ბოევიკებმა“ გაინაწილეს. პიტერ შოუსთან დაკავშირებით, გაუგებარი რაღაც მოხდა, გამტაცებლებისთვის ტყეში უნდა გადაეცათ ფული, გადაცემის დროს, ქართული სპეცსამსახურის წარმომადგენლებსა და გამტაცებლებს შორის, სროლა ატყდა, რა დროსაც პიტერ შოუ გაიქცა და ბლოკპოსტთას გასვლა შეძლო. სავარაუდოდ, გამოსასყიდი ვერ მიიღეს, მაგრამ ქართველი სამართალდამცავები მაინც არ დაზარალებულან, მათ უცხოელი მძევლების ძებნაში მიიღეს გასამრჯელო მათი ქვეყნების მთავრობებისგან. ამერიკელებმა პანკისის ხეობაში კონტრტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად, საქართველოს ხელისუფლებას დაახლოებით 60 მილიონი დოლარი გადასცეს. ამ ღონისძიების ოპერატიულად ჩატარების აუცილებლობა, ამერიკაში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარმა ტერაქტებმა გამოიწვია. ყველამ უცებ დაინახა, რომ პანკისში არიან საერთაშორისო დონის ტერორისტები და ისინი იქიდან მთელმა მსოფლიომ უნდა განდევნოს. სხვათა შორის, ის ინ-



ფანიძემ რომ უკრაინაში გააგრძელა „აღმაფრენა“ იქამდე, სანამ მის ბელადს „კრიშიდან ჩამოხსნიდნენ“ და შუაგულ ევროპისკენ გასტყორცნიდნენ, ეს ვიცით. რა გასაკვირია, რომ ლორთქიფანიძეები საკადრისად არ დაესაჯათ, როცა ამხელა საქმე გაუკეთებიათ ოკეანისგაღმელი „პატრონებისთვის“, თუმცა დავუბრუნდეთ ძირითად თემას. ჩეჩენი ჟურნალისტის ინფორმაციით, ყველა ასე ვთქვათ, სამუშაო, რომელიც ჩეჩენ მებრძოლებთან ტარდებოდა, გია ლორთქიფანიძის მეშვეობით ხორციელდებოდა, ის ახდენდა კონტაქტს რუსლან გელაევთან და სხვა საველე მეთაურებთან. გატაცება ხდებოდა ქართული სპეცსამსახურების მითითებით და მათი უშუალო მონაწილეობითაც. ამ „საქმიანობაში“ ჩართულები იყვნენ, როგორც ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლები, ისე შსს, ამასთანავე შსს-სა და უშიშროების სამინისტროს შორის, ჩუმი ომი მიმდინარეობდა, ცდილობდნენ ერთმანეთის გადასწრებას და დაბეზღება-გაწირვას. საიდაევი ერთ შემთხვევას იხსნებს, რუსლან გელაევთან მივიდნენ ქართული სპე-

გიეროდ, ჩეჩნებს უფრო მეტ დახმარებას პირდებოდა. ხელი ხელს ბანსო და გადაუციათ მძევლები „დიდ ჩეკისტ“ ლორთქიფანიძისთვის. შემდეგ ყველგან ისე გააჟღერეს, რომ თითქოს ლორთქიფანიძემ გმირულად გაათავისუფლა მძევლები. არადა მას დამოუკიდებლად არაფრით შეეძლო ასეთი რამ, რადგან ქართული ძალოვანი სტრუქტურები ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამდნენ ხეობის სიღრმეში, მათ ხეობის შესასვლელში განთავსებული ბლოკპოსტის იქით გადაადგილების ეშინოდათო. საიდაევის თქმით, ქართველი ძალოვანები პანკისის ხეობაში ჯერ კიდევ ქართულ-აფხაზური ომის პერიოდიდან ვერ ჩნდებოდნენ, მაშინ მათ ჩეჩნებთან იმის გამო მოუვიდათ კონფლიქტი, რომ ეს უკანასკნელნი აფხაზების მხარეს იბრძოდნენ. ჩხუბი ადგილობრივ ქისტებთან ურთიერთსროლებით დასრულდა, ამის შემდეგ ქართველებმა დენი და სხვა კომუნიკაციები გადაუჭრეს და 2001 წლამდე, იქ არ შედიოდნენო. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მეტყველებს მავან ქართველთა სულგაყიდულობაზე, რომლბმაც უმადურ, მოძმეთამკვ-

ფორმაციაც ვრცელდებოდა, რომ პანკისის ხეობას მსოფლიოს №1 ტერორისტად შერაცხული უსამა ბენ ლადენიც სტუმრობდა. „ეს ის პერიოდია, როცა ამერიკელები საქართველოში ვერ შემოდიოდნენ, რადგან სტამბულის სამიტის დროს მოხდა შეთანხმება, რომ საქართველოს ტერიტორიიდან გავიდოდა ყველა რუსული სამხედრო შენაერთი, მაგრამ ამერიკელ სამხედროებს მათი ადგილი არ უნდა დაეკავებინათ. ამერიკელები რომ მიეზიდათ და შეეტყუებინათ, საქართველოს ხელისუფლებამ პანკისის ხეობას საერთაშორისო ტერორიზმის ბუდის იმიჯი შეუქმნა. არადა ეს „ბუდე“ ფაქტობრივად, თვითონ შექმნეს და ასე, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ამერიკელები ოფიციალურად შევიდნენ საქართველოში. ამერიკელებმა შემდეგაც უამრავი ფული გამოყვეს ქართული არმიის მომზადება-აღჭურვისთვის. პანკისის ხეობის მეშვეობით, ასე იყო ორგანიზებული მასშტაბური აფერა“, აცხადებს ისლამ საიდაევი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ქ. თბილისის მერს, ბ-ნ კახი კალაძეს! ნაძალადევის რაიონის გამგეობას!



უპირველეს ყოვლისა, მადლობას გიხდით №60 მარშრუტზე ახალი ავტობუსების შემოყვანისათვის, თუმცა აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენი განცხადება გამგეობაში სანატორიუმ „ქართლის“ გაჩერებაზე ავტობუსის დროის მაჩვენებლისა და სათვალთვალო კამერების დაყენების შესახებ უყურადღებოდ დარჩა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც სანატორიუმში მცხოვრები ქალბატონი ავტობუსიდან ჩამოსვლის შემდეგ, გზაზე გადასვლისას, დიდი სიჩქარით მოძრავმა ავტომობილმა ისე დაამტვრია, რომ ექვსი თვე მოუწია მწოლიარე მდგომარეობაში ყოფნა. ამ ადგილას რამდენჯერმე ავარია მოხდა, რაც პატრულმაც დააფიქსირა. მოსწავლეების სკოლაში გაშვება ხომ პრობლემაა.

ამ გადასასვლელთან რომ სათვალთვალო კამერა დააყენონ, მოძრაობაც შედარებით მოწესრიგდება და სხვა პრობლემებიც მოიხსნება.

საინტერესოა, ვის არ აწყობს ამ საკმაოდ მარტივი საკითხის მოგვარება. გამგეობაში მოკალათებული გადმოპორტირებული ნაცები ამ საკითხს ხომ არ იყენებენ ამომრჩევლების ხელისუფლების წინააღმდეგ განსაწყობად?!

ბატონ ნოდარ გიორგაძეს ჩვენი პატივისცემა „ჯინო ფერედაისის“ მოწყობისთვის, მაგრამ პრობლემად იქცა შენობის წინ, მის კუთვნილ ტერიტორიაზე, არასტანდარტული ბარიერების მოწყობა, რის შემდეგ უკვე ორი თვეა №60 მარშრუტის ავტობუსებს უწევთ „ჯინო ფერედაისში“ შესასვლელად ზედმეტი 2 კმ.-ის გავლა. მგზავრებისა და მძღოლების უკმაყოფილება რომ არად ჩავაგდოთ, მარტივი არითმეტიკაა: №60 მარშრუტზე 6 ავტობუსი მოძრაობს, თითოეული 9 რეისს ასრულებს დღეში და ზედმეტ 18 კმ-ს გადის, 6X18 კი 108 კმ-ია.

რა გახდა ორი ხელმძღვანელის შეთანხმება, რომ გადაჭრან ეს საკითხი?

ვინ დაწყევლა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობა, თქვენი არ გცოდნოდეთ და სხვისი არ შეგესმინოთო?!.

თბილისის ზღვაზე სანატორიუმ „ქართლში“
მცხოვრები დევნილების თხოვნით

**ვლადიმერ ჟანტურიძე.**
ფიზიკოსი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი

# ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი წყარო ნაღდი ფულია

**ერთ-ერთი წყარო გავრცელებისა გახლავთ ფული, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ანგარიშსწორებები ელექტრონული იყოს, - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.**

**გამყრელიძის რეკომენდაციით, სასურველია ნაღდი ფულის მოხმარების შემდეგ აუცილებლად დავიმუშაოთ ხელები სადეზინფექციო საშუალებებით.**

**ამასთანავე, მან რეკომენდაციით მიმართა ბანკებსაც, რომ ყველა ფილიალში მოაწყონ ხელის სადეზინფექციო კუთხე, სადაც განთავსებული იქნება დეზინფექტორები.**

**ამირან გამყრელიძემ კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის იმ ბანკებს, რომლებიც პენსიებს გასცემენ მიმართა, რომ თუ შესაძლებელია პენსიები ელექტრონულად გასცენ, რათა ნაღდი ფულის გამოყენებას თავი აარიდონ.**

# რას გვასწავლის ვედური ცივილიზაცია?

ვედური ცივილიზაციის მიზანი მაქსიმალურად ჰარმონიული და ჯანმრთელი ადამიანის შექმნა იყო. ყველა წესი და კანონი ამას ემსახურებოდა, რომ ესწავლებინა ადამიანისთვის ბუნებასთან და საკუთარ თავთან ჰარმონიაში ყოფნას. მინიმუმამდე დაეყვანა ყველა ტანჯვა და ხარვეზი, რაც ადამიანის ჭკუაში იყო, რათა შეძლებოდა სწორად ევოლუცია. ჩვენი თანამედროვე ცივილიზაცია ამაში ვერ გვიწყობს ხელს, მაგრამ მიუხედავად ამისა არავის შეუცვლია ჩვენი არსებობის მთავარი მიზანი და ამ ცოდნის სულ მცირე ნაწილაკებსაც კი შეუძლიათ ხარისხობრივად შეცვალონ ჩვენი ცხოვრება. სიტყვა „ვედა“ სანსკრიტულია და ნიშნავს ცოდნას. ვედები ჩაიწერა პალმის ფოთლებზე, ასეთი სახით ნაწერი მრავალი ათასი წელი ინახება. არსებობს ადგილი ჰიმალაიში (ბადარიკაშრამა) სადაც ინახება მრავალი ასეთი ტექსტი. ასევე მრავალი ტექსტი ინახება ინდოეთში. ჩვენ ხშირად გვესმის სიტყვა — „კარმა“ მაგრამ ცოტა ხვდება თუ რას ნიშნავს ეს რეალურად და როგორ აპროგრამებს ადამიანი საკუთარ თავს საკუთარი ქმედებებით, როგორ ქმნის ადამიანი თავის ბედს, როგორ ილექება მისი ყველა ქმედება ცნობიერებაში და როგორ იქცევა შემდგომ მის ბედად. თანამედროვე ფსიქოლოგია შესაძლებლობას იძლევა ასე თუ ისე გადავჭრათ რაღაც პრობლემები. ადამიანები მიმართავენ ფსიქოლოგებს, როდესაც აწუხებთ შინაგანი ტკივილი, დეპრესია და სხვა. რთული და არასრულყოფილი მეთოდებით ფსიქოლოგი გვეხმარება პრობლემის რაღაც ნაწილის მოგვარებაში. იდეაში არსებობს მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გადავჭრათ არა პრობლემათა ნაწილი, ან რაიმე წვრილმანი პრობლემა, არამედ ჩავიხედოთ პრობლემის საფუძველში, ფესვებში. გადავწყვიტოთ პრობლემები არა ზედაპირულად, არამედ ჩავიდეთ სიღრმეში და ამოვძირკვოთ ეს პრობლემები ფესვებიანად. ქვეცნობიერი ძნელად მისაწვდომია, ფსიქოლოგები ცდილობენ იქექონ მასში მაგრამ ეს საეჭვო და სათუო პროცესია, ვედები კი გვთავაზობენ ძალიან ნათელ და ბუნებრივ მეთოდს, რომ საფუძვლად სწორედ ჩვენი გონება ავიღოთ და მისი მეშვეობით შევცვალოთ სხვა ყველაფერი. „დავწვათ“ კარმა, გამოვიყენოთ გონება რომ არ ვიყოთ კარმული ავტომატი ანუ მექანიზმი. იუნგმა კარგად შეისწავლა ვედები და თავისი უზარმაზარი გამოცდილების საფუძველზე, ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზა თქვა: „ყველაფერი ის, რაც არ დაგვყავს ცნობიერებამდე, შედის ჩვენს ცხოვრებაში როგორც ბედი.“ ანუ შედის ჩვენს ცხოვრებაში როგორც ბრმა ძალა. როგორ მოვახერხოთ რომ გონების მეშვეობით თავი დავიცვათ ყველა იმ „ურჩხულისგან“ რომლებიც იღვიძებენ, როცა გონება იძინებს. გონების ძილი ბადებს მრავალ შიშს და ინფორმაციულ „მონსტრს“ რომლებიც ჩვენს ბედად (კარმად) იქცევიან. . პატარა ბავშვი, როცა იბადება, თან მოაქვს კარმის მარაგი, ანუ განპირობებული ცნობიერების მარაგი რაღაც მეხსიერებით და ის ძალიან უმწეოა. რაღაც კუთხით ყველა დანარჩენი მექანიზმი დაცვის მექანიზმებია. ისინი გვიან ფორმირდებიან და გვიან ვითარდებიან. დაახლოებით სამი წლის ასაკში ბავშვი ამბობს „მე თვითონ!“ დაახლოებით ხუთი წლის ასაკში იწყებს ფორმირებას ცნობიერი „მე“. ამიტომაც პედაგოგიის ვედური პრინციპების თანახმად ხუთ წლამდე ბავშვისთვის არაფრის სწავლება არ შეიძლება. არ უნდა ვასწავლოთ რა არის ცუდი და რა არის კარგი. ხუთ წლამდე ბავშვს უნდა მოვეპყრათ როგორც მეფეს, ხუთი წლის შემდეგ კი როგორც მსახურს. ხუთ წლამდე მხოლოდ უნდა გვიყვარდეს, შემდეგ კი მკაცრად უნდა აღვზარდოთ. თოთხმეტი წლის ასაკში, როცა ადამიანი ბოლომდე აცნობიერებს თავის განცალკევებულობას. იწყება ბუნტი, გარდატეხის ასაკი ამიტომ ნათქვამია, რომ თოთხმეტი წლის შემდეგ ბავშვს უნდა მოვეპყრათ უკვე როგორც მეგობარს. ის უკვე დამოუკიდებელი პიროვნებაა და მისთვის მკაცრად ჭკუის სწავლება აღარ შეიძლება. ნებისმიერი ჩარევა იმ მხრივ, თუ რა არის სწორი და რა არის არასწორი, მის მიერ აღქმული იქნება როგორც ძალადობა. ამ დროს შეგვიძლია მივმართოთ მის გონებას, როგორც მეგობარს. იმის მიხედვით, თუ როგორ ჩამოყალიბდება მთელი ეს სტრუქტურა, ადამიანი ჩამოყალიბდება ან ნორმალური ფსიქიკით, ან დამახინჯებულით. რა ხდება ადამიანის ზრდასთან ერთად? ის თავიდან ძალიან დაუცველი და უმწეოა. იმდენად, რამდენადაც ის უმწეოა და მას არ აქვს ცრუ ეგოს და გონების ფილტრები, ყველა ის შთაბეჭდილება, რომელსაც ამ დროს იღებს, ძალიან დიდ კვალს ტოვებს მის ფსიქიკაში. რატომაა, რომ ბავშვობაში გადატანილი ტრამვები ყველაზე მძიმე და სერიოზულია? იმიტომ რომ ბავშვობაში ადამიანი ყველაზე სათუთია და მას არა აქვს დამცავი მექანიზმები. ყველაფერი, რასაც აღვიქვამ და შევიგრძნობ ბავშვობაში, იქნება ეს სიყვარული თუ შიში, დაილექება და შემდეგ ძალიან ძლიერად იმოქმედებს მთელ ჩემს ცხოვრებაზე. ბავშვობაში განცდილი მტკივნეული გამოცდილება ჩრდილს მიაყენებს რეალობის აღქმას მთელი ცხოვრების მანძილზე. ბავშვობაში ტანჯული ადამიანები მთელ შემდგომ ცხოვრებას მტკივნეული პრიზმით უყურებენ და ეს ტკივილი და შიში გროვდება და ინფორმაცია ილექება ან როგორც შიში, ანუ ობიექტი, რომელსაც აღვიქვამ როგორც საფრთხეს (შიში ყველაზე ძლიერი და ნეგატიური ემოციაა ადამიანში), ან როგორც რაღაც დადებითი, ანუ ის რაც მე მიყვარს და მომწონს. ერთიც და მეორეც ძალიან საეჭვო რამეა, თუ ისინი ძალიან ძლიერნი არიან და შემდგომ ამრუდებს ჩემს რეალობის აღქმას. ასე ჩნდება ჩვენი შიშები და კომპლექსები. უნდა გავიგოთ, თუ რატომ ჩნდება შიში, როგორია შიშის ბუნება. რეალურად ყველა ჩვენი პრობლემა შიშის შედეგად იქმნება. რატომაა ადამიანი ხარბი? იმიტომ რომ მას ეშინია რაღაცის დაკარგვის, აქვს დაუცველობის შეგრძნება. რატომაა ადამიანი ეჭვიანი? ისევ იმიტომ რომ დაკარგვის ეშინია. ყველა ჩვენი მანკიერების ფესვებში რაღაც შიშები დევს, გაუცნობიერებელი და არაცნობიერი... რაღაც ნეგატიური განცდები, რომლებშიც ჩვენში დაილექა. სწორედ ისინი განაპირობებენ ჩვენს ეჭვიან, ხარბ, ავხორც, ბრაზიან ბუნებას. ქმნიან ყველაფერ იმას, რაც აფუჭებს ჩვენი და ჩვენი გარშემომყოფების ცხოვრებას. შიშების ყველაზე დიდ ნაწილს სწორედ ბავშვობის ასაკში ვიღებთ. და ეს ფობიები, შიშები არა ერთი ცხოვრება მიგვყვება და ბევრი მათგანი წინა ცხოვრებებიდანაა გამოყოლილი. მაგალითად ადამიანს აქვს კლაუსტროფობია (ჩაკეტილი სივრცის შიში), არადა ამ ცხოვრებაში არავითარი მსგავსი სტრესი არ განუცდია, მაგრამ შეიძლება წინა ცხოვრებაში ჩაკეტილ სივრცეში მოკვდა, ან მსგავსი რამ გადაიტანა. ან თუ წინა ცხოვრებაში დაიხრჩო, (ან უბრალოდ იხრჩობოდა და გადარჩა), ამ ცხოვრებაში პანიკურად ეშინია წყლის. რაღაც კუთხით კარმა, რომელსაც თან ვატარებთ, ეს გაუცნობიერებელი შიშებია, რომლებიც ჩვენს ქვეცნობიერში და არაცნობიერში იმყოფება. როდესაც ვიზრდებით და ცნობიერება ასე თუ ისე ჩამოყალიბებულია, ახალი მტკივნეული განცდები არ ტოვებენ ისეთ ტრაგიკულ სამსკარებს, როგორც ბავშვობაში. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც ეხება ჩვენი ცნობიერი გონების ფუნქციას. ნებისმიერი ფსიქიკური ტრეინინგები, ფსიქოტექნიკები ან სულიერი პრაქტიკები საბოლოოდ მიმართულია იმაზე, რომ განავითაროს გონების იოგა. გონება, ეს ძალიან მნიშვნელობანი ელემენტი, რომელიც ეხმარება ადამიანს, გადახარშოს ყველაფერი რაც მის თავს ხდება. თუ გონება ძლიერი მაქვს, შხამი არ დაგროვდება. პირიქით, რაც განვიცადე ენერგიად და ძალად გარდაიქმნება. მომცემს შესაძლებლობას რომ წინ ვიარო. ყველაფერი „ცუდის“ მიზეზი ადამიანის სუსტი გონებაა და ამ „ცუდის“ მონელების შეუძლებლობაა. თუ სწორად გადავხარშავ, რაც არ უნდა შემემთხვეს, ჩემთვის საბოლოოდ სასარგებლო გახდება. და პირიქით, თუ სუსტი გონება მაქვს, რაც არ უნდა შემემთხვეს დამაზიანებს, უფრო დამასუსტებს და სიტუაციასაც უფრო გაართულებს. წმინდა ფრანცისკო ასიზელმა ძალიან კარგი რამ თქვა თავის ლოცვაში: „ო ჩემო ღმერთო, ძალიან გთხოვ მომეცი მე აზრების სინათლე, რათა მივიღო ყველაფერი რისი შეცვლაც არ შემიძლია, მომეცი სიმამაცე შევცვალო ის, რისი შეცვლაც შემიძლია, და მომეცი გონება, რომ ერთი მეორესგან გავარჩიო!“ ანუ მომეცი მე გონება (ბუდჰი), რომ მივხვდე რა უნდა მივიღო უბრალოდ, წინააღმდეგობის გარეშე, რამეთუ ამის შეცვლა არ შემიძლია და რა უნდა შევცვალო... სინამდვილეში ეს ყველაზე გავრცელებული შეცდომაა რასაც ადამიანები უშვებენ, ისინი ან ებრძვიან იმას, რისი შეცვლაც არ ძალუძთ, ან არ მოქმედებენ იქ, სადაც რამის შეცვლა შეიძლება. ამიტომ ფრანცისკო ასიზელის ყველაზე მთავარი თხოვნა ბოლოშია: „მომეცი გონება, რომ ერთი მეორესგან გავარჩიო!“როცა ადამიანი ამბობს: „მე მინდა“ (და ყველაფერი ეს ქვეცნობიერის დონეზე ხდება) ამის დაძლევა ძალიან ძნელია. როცა ჩნდება ემოციონალურად შეფერილი სურვილები, და როდესაც ადამიანი ამბობს: „მე მინდა და რაც გინდა მოხდეს!“ მისი შეჩერება შეუძლებელია. ის ქვემოთ მიდის და დეგრადაციას განიცდის. ჭკუასთან ძალიან ძნელია გამკლავება. იდეალურ შემთხვევაში გონება უნდა მართავდეს ჭკუას, მაგრამ რეალურად პირიქით ხდება. გონება ემსახურება ჭკუის მოთხოვნებს. როგორც დილით ვიღვიძებთ, ვერ ვაცნობიერებთ რატომ უნდა ავდგეთ და ისევ ვიძინებთ, ასევეა ადამიანის სულიც, რომელიც ვერ აცნობიერებს სიფხიზლის საჭიროებას და არ შეუძლია იმ პასუხისმგებლობის ტვირთვა, რასაც სიცოცხლის ადამიანური ფორმა აკისრებს მას. „დამანებეთ თავი!“ „მაცალეთ ძილი!“ ამბობს იგი და აგრძელებს ძილს. მაგრამ თუ ჩვენ გვაქვს სურვილი რომ გავიღვიძოთ, ასეთი შესაძლებლობაც გვეძლევა. ვედები ადიდებენ სწორედ სიცოცხლის ადამიანურ ფორმას და სწორედ ადამიანს იმისთვის, რომ მას შეუძლია გაღვიძება (შეუძლია, მაგრამ ძალიან ხშირად არ უნდა). გაღვიძება არც ისეთი საშიშია, ხოლო ძილი არც ისეთი კარგია როგორც გვგონია. ადამიანის სიცოცხლის მიზანი სწორედ ესაა, რომ გონების მეშვეობით შეძლოს გაღვიძება.





**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „ანაკლია პორტი“ და ძველი შეცდომები ახალი რაკურსით

**ზღვის ფსკერიდან ამოღებული და ანაკლიის სანაპიროზე დაზვინული უზარმაზარი მასა შეიძლება „კორონა ვირუსზე“ გაცილებით საშიში ეპიდემიის წყაროდ იქცეს!**

SOS! SOS! SOS!

თუ ყურადღებით არ ვიქნებით, მიტოვებული ანაკლია და ზღვის ფსკერიდან ამოღებული, 100 ჰა ტერიტორიაზე 8 მეტრის სიმაღლეზე დაზვინული, საუკუნეების მანძილზე ზღვის ფსკეზე დაკონსერვებული, შეუსწავლელი მასა, ადვილი შესაძლებელია **„კორონა ვირუსზე“ გაცილებით საშიში გახდეს, თუ მას სასწრაფოდ არ მიეხედა!**

**„ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფმა“** დიდი ხანია განგაშის ზარი ავტეხეთ, ანაკლიაში, ზღვის ფსკერიდან უპროექტოდ, უმიზნოდ ამოღებული და უპატრონოდ მიტოვებული, 5 მილიონი კუბური მეტრი ქვიშანარევი შეუსწავლელი მასის გარშემო, 80 გვერდიანი მეცნიერული ნაშრომიც დავდეთ, რომელიც საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, ოპოზიციას, მმართველი პარტიის თავკაცებს გავგზავნა, მაგრამ მას რეაგირება არ მოჰყოლია!

არადა, ვინ იცის, საუკუნეების განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს მთავრობის წარმომადგენელთა (ინფრასტრუქტურის სამინისტროს) ანაკლიაში ჩასვლა და მათი განცხადება, რომ:

**„რკინიგზის და ავტობანის მისაერთებელი ადგილის შესარჩევად არიან ჩამოსულები ანაკლიაში?“**

ნუთუ, მათთვის, ისე, როგორც 2016 წლის 5 თებერვალს წინასწარ იყო ცნობილი, თუ ვის უნდა გაემარჯვა ტენდერში, ახლაც იგივეს აპირებენ?

თუ ეს ასე არ არის, **რა იცის ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ვინ იქნება ახალი ტენდერის გამარჯვებული და როგორი სახის პროექტს წარმოადგენს იგი?**

ის, რომ ხაზარაძის ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“** მიერ შერჩეული, პორტის ასაშენებელი ადგილი არანაირად არ შეესაბამება **„სავაჭრო-სამრეწველო პორტისთვის“** საჭიროს, კარგა ხანია გაცხადდა.

სხვა საკითხია, ისინი საერთოდ იმის დასტური მივიღეთ ფოსტით, რომ გზავნილი მიიღეს, მაგრამ ეტყობა დღემდე არ წაუკითხავთ, თორემ მსგავს ლაფსუსს არ დაუშვებდნენ!

თუ ისინი, ჩქაროსნული რკინიგზის და ავტობანის მიბმას, ხაზარაძის ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ხელოვნურ ზვინულთან აპირებენ, პირდაპირ უნდა ითქვას:

**ეს დიდი უპასუხისმგებლობაა და კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ მიერ ანაკლიაში დაწყებული საქმის საეჭვო დანიშნულებას!**

საინტერესოა, ახალი ტენდერის შემთხვევაშიც, სხვის მიწაზე აპირებენ პორტის აშენებას?

საქართველოს მთავრობის უმაღლესი მმართველებიდან დაწყებული, პროკურატურის ყველაზე დაბალი ჩინოსნის ჩათვლით ყველასთვის ცნობილია, რომ 2100 ჰექტარი მიწა, საგანგებოდ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად თეიმურაზ ქარჩავას 2010 წელს აქვს შეძენილი, არა 1 ლარად, როგორც მაშინ იყო



წინ მიძინებული, როგორი სახის ინფექცია იფეთქებს კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის მიერ ანაკლიაში უპატრონოდ მიტოვებული **„ეპიდემიის წყაროდან“?**

რაც შეეხება **„ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტის“** მშენებლობაზე ახალი ტენდერის გამოცხადებას, სანამ ამ უკიდურეს გადაწყვეტილებამდე მივიდოდეს, მთავრობამ, ჯერ ტენდერის ფინიშზე გასული მეორე კანდიდატის შემოთავაზებები უნდა გადასინჯოს და, თუ იგი პირველი ტენდერის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ გადადგას ახალი ტენდერის მომზადების და გამოცხადების ნაბიჯი, რაც რამდენიმე მილიონი ლარი დაჯდება!

კარგი ბატონო, არ გაითვალისწინა, ან გამორჩა, უამრავი სხვა საკითხებით დაკავებულ მთავრობას **ზემოთხსენებული „სატენდერო რეგულაცია“**, ჩვენს დროში და არ აპირებდნენ ასეთი სახის პორტის აშენებას და იგი ვიღაცისთვის (ამის შესახებ ისინი უნდა გამოკითხოს შესაბამისმა ორგანომ) სულ სხვა დანიშნულებისთვის რომ შენდებოდა, მკითხველისთვის ცნობილია, მაგრამ, როგორც ჩანს სამთავრობო ეშელონებში **„ამას ჯერაც ვერ მიმხვდარან“**!

როგორც ზემოთ ვახსენე, ჩვენ, **„ანაკლიის ეკომონიტორინგის ჯგუფმა“**, ამის შესახებ ექვს სამინისტროს, პრემიერმინისტრს, მმართველი პარტიის და პარლამენტის თავმჯდომარეებს წერილობით მოვახსენეთ, სამეცნიერო ნაშრომი, 80 გვერდიანი **„საექსპერტო დასკვნა „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პრობლემები“** წიგნის სახითაც მივართვით, თუ რატომ ვერ აშენდება **„ანაკლია პორტი“**, სამწუხაროდ, მათგან, მხოლოდ, მიღებული და დადგენილი მაშინდელ მთავრობასთან ჯვარდაწერილთათვის, არამედ 3,5 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი და იგი სააკაშვილის მთავრობამ კანონის უხეში დარღვევით ჩამოართვა მას და 2011 წელს თავის კომპანია „ლაზიკას“ გადასცა საჩუქრად..

ეს ის საკითხია, რომელიც **„ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის“ ახალი ტენდერის გამოცხადებამდე უნდა გადაწყდეს, ზემოთხსენებული 2100 ჰა მიწის ფართობი კანონიერ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს, როგორც კანონის უზენაესობა ქვეყანაში, ასევე ახალი ტენდერის, ქვეყნისა და მისი მოსახლეობის სასიკეთო დანიშნულება!**

დავით ქობალია
598 70 86 00

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

— **ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $1191^1$-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

* * *

— **რა განსხვავებაა გაფიცვასა და ლოკაუტს შორის?**

— გაფიცვა დასაქმებულის უფლებაა, ლოკაუტი-დამსაქმებლისა.

უფრო კონკრეტულად:

საქართველოს შრომის კოდექსის 49-ე მუხლის 1ლი ნაწილის მიხედვით, გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

ასევე, დამატებით განგიმარტავთ შემდეგს:

შრომის კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გაფიცვაში დასაქმებულის მონაწილეობა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ ცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულებთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დასაქმებულები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გაფიცვაში, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე ან აუნაზღაუროს შეჩერების პერიოდი სამუშაოს საათობრივი განაკვეთის მიხედვით.

* * *

— **ჩემს მეგობარს დაეღუპა მეუღლე, რომლისგანაც ჰყავს ორი შვილი. დედამთილ-მამამთილი პრეტენზიას აცხადებენ შვილის ქონების ნაწილზე. რამდენად სამართლიანია ეს?**

პრეტენზია სამართლიანია. დაგიკონკრეტებთ:

— თუ გარდაცვლილს დარჩნენ შვილები, მეუღლე და მშობლები- ანუ 1-ლი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები, მისი სამკვიდრო გაიყოფა ამ მემკვიდრეებს შორის თანაბარწილად.

# რიტა ლევი-მონტალჩინი – ნობელის პრემიის ყველაზე ხანდაზმული ლაურეატი

რიტა ლევი-მონტალჩინი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია ნეირობიოლოგიაში მისი მიღწევების წყალობით. ფუნდამენტური სამედიცინო კვლევების სფეროს უდიდესი მეცნიერი, ერუდირებული ადამიანი და, უბრალოდ, უდიდესი იუმორის გრძნობის მქონე ქალბატონი — ეს მხოლოდ ამ გამოჩენილი პიროვნების ზედაპირული დახასიათებაა. მას რთული ბედი ერგო: ომი, ანტისემიტიზმის გავლენა... ებრაული ფესვების გამო რიტა ლევი ლამის სიცოცხლესაც კი გამოესალმა. მაგრამ ყველაფერ ამას ხელი არ შეუძლია მისთვის, უმაღლეს სამეცნიერო სიმაღლეებზე ასულიყო, ნაყოფიერი და ხანგრძლივი ცხოვრება გაევლო და 103 წლის დაბადების დღეც აღენიშნა...

## ცხოვრების გზის დასაწყისი

რიტა ლევი-მონტალჩინი 1909 წლის 22 აპრილს ტურინში დაიბადა. ის ორი ტყუპი დიდან ერთ-ერთი იყო. რიტას მამა მათემატიკოსი და ინჟინერ-ელექტრიკოსი გახლდათ, დედა კი — მხატვარი. გოგონას მემკვიდრეობით ერგო ზუსტი მეცნიერებების სიყვარული და სილამაზის აღქმის განსაკუთრებული უნარი.



მომავალმა მეცნიერმა-ბიოლოგმა ორმაგი გვარი აიღო. ლევის გვარი (მამის მხარე) ინტელიგენტური ებრაული ოჯახიდან იღებს სათავეს. მომავალში ეს ძალიან სერიოზულად აისახა რიტა ლევის ბედზე.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ რიტამ ტურინის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში შეიტანა საბუთები. მამას კონსერვატიული შეხედულებები ჰქონდა და თვლიდა, რომ ქალისთვის სულაც არ იყო საჭირო პროფესიული სრულყოფილების მიღწევა და რიტას ამ ნაბიჯს მხარი არ დაუჭირა.

1936 წელს რიტა ლევიმ ხარისხი მიიღო, მაგრამ მისთვის ეს საკმარისი არ იყო. გოგონამ მეორე სპეციალობის დაუფლება გადაწყვიტა და 1940 წელს ის დიპლომირებული ნევროლოგი და ფსიქიატრი გახდა.

## ცხოვრების მთავარი გატაცება

სწავლის დასრულების შემდეგ რიტა ლევი-მონტალიჩი მთლიანად სამეცნიერო მოღვაწეობით დაკავდა. თავიდან გამოჩენილი ჰისტოლოგის ჯუზეპე ლევის ასისტენტად მუშაობდა ტურინის უნივერსიტეტთან არსებულ ფსიქიატრიულ და ნევროლოგიურ კლინიკაში. სწორედ ამის წყალობით აღმოაჩინა გამოჩენილმა მეცნიერმა თავისთვის ნეირობიოლოგია, რომელიც მთელი მისი ცხოვრების გატაცებად იქცა.

მოგვიანებით რიტა ლევიმ მომზადება გაიარა და სრულყოფილება ბარსელონის ნევროლოგიის ინსტიტუტში მიაღწია.

## მეორე მსოფლიო ომის გავლენა მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, იტალია ფაშიზმის გავლენას განიცდიდა. 1938 წელს მუსოლინიმ „რასობრივი მანიფესტი“ გამოსცა, რომელიც ებრაელებს აკადემიურ და პროფესიულ კარიერას უკრძალავდა. რიტა ლევი-მონტალჩინის უნივერსიტეტში მოღვაწეობა აეკრძალა იმის გამო, რომ ებრაული ფესვები ჰქონდა, მაგრამ მას არ შეუწყვეტია საქმიანობა და მეცნიერების სამსახურს საკუთარ საძინებელში აგრძელებდა. იგი ამბობდა, რომ მადლიერი იყო დუჩესი, რადგან ის უმდაბლეს რასას მიაკუთვნა. სწორედ მისი დახმარებით შეიგრძნო შრომის სიხარული, როცა არა უნივერსიტეტში, არამედ საკუთარ სახლში შრომობდა...

როცა ნაცისტებმა ჩრდილოეთ იტალია დაიკავეს, რიტა მონტალჩინის ფლორენციაში გადასვლამ მოუწია. იგი იქაც სახლში აგრძელებდა ნეირობიოლოგიაში მუშაობას. ქალი მეზობელ სოფლებში კვერცხებს ყიდულობდა და ცდებს ისე ატარებდა.

როცა მოკავშირეებმა იტალიის გათავისუფლება დაიწყეს, რიტა მონტალჩინი სამხედრო ბანაკში სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილებს.

1945 წელს რიტა ლევი-მონტალჩინი ტურინის უნივერსიტეტში დაბრუნდა და ანატომიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა.

## „ამერიკული“ მიმართულება სამეცნიერო მოღვაწეობაში

1947 წელს ნეირობიოლოგის კვლევით საქმიანობაში ახალი მიმართულება დაიწყო. ამის მიზეზი ამერიკელი მეცნიერის ვიქტორ ხამბურგერის ძლიერი გავლენა გახდა. სწორედ მისი მიწვევით გაემგზავრა რიტა სენტ-ლუისში და დაიკავა ზოოლოგიური განყოფილების თანამშრომლის თანამდებობა.

ელმერ ბუეკერის კვლევების მონაცემების ბაზაზე მათ ქსოვილის სიმსივნეების კვლევების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ლევი-მონტალჩინიმ და ხამბურგერმა გადანერგეს მღრღნელის სიმსივნის უჯრედები ქათმის ემბრიონში და დაინახეს, რომ ჯანმრთელი ემბრიონის უჯრედები სწრაფად შეეზარდა სიმსივნეს. ეს იმას ამტკიცებდა, რომ უჯრედებზე დიდ გავლენას ახდენდა რაღაც ნივთიერება, რომელიც სიმსივნეში კონცენტრირდებოდა.

1952 წელს რიტა ლევი-მონტალჩინი რიო-დე-ჟანეიროში ჩავიდა და აღმოაჩინა ისეთი ცნება, როგორიცაა „ნერვული ქსოვილის ზრდის ფაქტორი“. მან დაამტკიცა, რომ არსებობს მასტიმულირებელი ნივთიერება. ამ აღმოჩენამ ბევრად განაპირობა მსოფლიო კვლევების მიმართულება სიმსივნური პროცესებისა და ალცჰეიმერის დაავადების შესწავლის საქმეში.






1953 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბაზაზე შედგა რიტა ლევი-მონტალჩინისა და ამერიკელი ბიოქიმიკოსის სტენლი კოენის თანამშრომლობა. მათ ერთობლივას შეძლეს იმ ანტისხეულების აღმოჩენა, რომლებიც ქსოვილის ნერვების ზრდის ფაქტორზე ახდენდნენ ზემოქმედებას. მათი შრომა დაფასდა. 1986 წელს რიტა ლევი-მონტალჩინიმ და სტენლი კოენმა ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნობელის პრემია მოიპოვეს.

1958 წელს რიტა ლევი ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

რიტა ლევი-მონტალჩინი მსოფლიო მნიშვნელობის უამრავი ჯილდოსა და აშშ-ისა და ევროპის მრავალი უნივერსიტეტის საპატიო წოდებების მფლობელი იყო.

## ცხოვრების დასალიერს...

გამოჩენილი ბიოლოგი რიტა ლევი-მონტალჩინი მთელი ცხოვრება სამეცნიერო გზით მიდიოდა და ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი არ გადაუხვევია მისთვის. მან 103 წელი იცოცხლა და, ამასთან, შეინარჩუნა ნათელი გონება, შრომისუნარიანობა და იუმორის გრძნობა. ცნობილ ნეირობიოლოგს განსაკუთრებულად გამოხატული იუმორის გრძნობა ჰქონდა. მის ციტირებას ბევრი მეცნიერი ახდენს, ის ადამიანებიც კი, ვინც მეცნიერებისგან ძალიან შორს დგას.

ფოტოებზე ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი ხშირად ღვინის ბოკალით ხელში არის გადაღებული, ამას იგი ასე ხსნიდა: „საჭმლის მონელებისთვის მე ვსვამ ლუდს, უმადობის დროს თეთრ ღვინოს, დაბალი წნევის დროს წითელ ღვინოს მივირთმევ, მაღალი წნევის დროს — კონიაკს, ხოლო თუ ანგინა მაქვს — არაყს“. როცა მას ჰკითხეს, როდის სვამდა წყალს, მონტალჩინიმ უპასუხა: „არასოდეს. ასეთი ავადმყოფობა მე ჯერ არ მქონია“.

რიტა ლევი არასოდეს ყოფილა გათხოვილი და არც მემკვიდრეები დარჩენია. მთელი ცხოვრების მანძილზე ქველმოქმედებას ეწეოდა და ახალგაზრდა მეცნიერებს ეხმარებოდა.

2001 წელს რიტა ლევი-მონტალჩინი სამუდამო სენატორი გახდა — ამ წოდებას იტალიაში მხოლოდ ყოფილ პრეზიდენტებს და იმ მოქალაქეებს ანიჭებენ, რომლებმაც თავიანთი ქვეყანა ხელოვნებასა და მეცნიერებაში მიღწევებით ასახელეს.

რიტა ლევი მონტალჩინი 2012 წელს გარდაიცვალა. მისი სამეცნიერო მიღწევები ცოცხალია და დღემდე ახალი სამეცნიერო წარმატებების ბაზად რჩება. ეს გამოჩენილი მეცნიერი მეცნიერების ისტორიაში შევიდა „უჯრედების მბრძანებელის“ სახელით.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001